# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შე-თანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. სამი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კანტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და სალ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კანტორა დაკეტილია.
კანტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეექვსე | შაბათი, იანვრის 31 1920 წ. № 22 | ფასი 4 მან.



აპოლლო | პირველად თბილისის ეკრანზე ახალი მხატვრული დადგმა

# ლაქია

ღრმა ფსიქ. კინო-დრამა

გუხოვსკის სცენარიით.

იქიას როლში ავტორი

კინო პალასი | პირველად გადაღებული თბილისში საქც. საზ.-ბა „ფილმა"-ს მიერ

# თავმოკვეთილი გვამი

კინოდრამა 6 ნაწილად სამოსამართლო ქრონიკიდან.

მთავარ როლებში პ. კაშევსკი და ლუი ბუფალო

ა. დავიდოვასა, მ. ანენსკის, ა. ტრიგო და ბ. ჯოვონცის მონაწილეობით.

მუსიკა ილლიუსტრ. ი. ხუდადოვისა.

კინო-თეატრი ფილმა — ახალი დიდი პროგრამა

# „ტრაგიული ღამე"

დრამა 4 ნაწილად.

გვარდიის დღე თბილისში „12 ქრისტ. 1919 წ."

წახეგზე ნადირობა. პრენსის წვერი

მხიარული კომედია.

---

კვირას თებერვლის 1-ს ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

კონსტანტინე (კოწია) ეგნატეს ძე

## ნარსიას

სულის მოსახსენებლად რასაც აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ. ცოლი, შვილი, დედა, ძმები, დები, რძალი და სიძე.
2775—2—1

---

ალექსანდრე იოსების ძე კლდიაშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას თებერვლის 1-ს დღის 12 საათზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მისი დედის

ელისაბედ კონსტანტინეს ასულის

## კლდიაშვილის

სულის მოსახსენებლად. 2774—1—1

---

კვირას, თებერვლის 1-ს, ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ვასილ ივანეს ძის

## ფორაქაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძმა მისი ადამ ივანეს ძე ფორაქაშვილი. დასაწყისი წირვისა 10 საათზე,
(2772 2—1)

---

კვირას, თებერვლის 1-ს, გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის ამხანაგ შტ. როტ. მაჩაბლისაგან ალბულახში, ძვირფასი და დაუვიწყარი პორუჩიკი მე-2 ქართულ ცხენოსანთა პოლკისა

## ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ყარაშვილისა.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე, მიცვალებულის საფლავზე, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის თავზარდაცემული და შეწუხებული მშობლები ალექსანდრე გაბრიელის ძე და მარიამ თევდორეს ასული ყარაშვილები შვილებით; გიორგი, ნინა, თამარა, მარიამი და ელენე ალექსანდრეს ძე და ასულნი.
2773 2—1

---

სამაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას 1 თებერვალს 1 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ჟურნ. „ნაკადულის" დამაარსებელის და მისი მომავლე რედაქტორის

## მარიამ ივანეს ასული დემურიას

გარდაცვალების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად
2776 2—1

---

სახელმწიფო თეატრი

ცვლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს, იანვრის 31 ს

## სამეფო სარძლო

---

ქართული კლუბი

შაბათს, იანვრის 31 ს

საოჯახო საღამო.

რუსულ დრამა „ტარტოს". მიერ წარმოდგენილ იქნება:

## საბრალო ფედია

მხიარული კომედია 2 მოქ.

## დიდი კონცერტი

ქ.ქ. ალეშკო, ზელიონაია, ინსი; ბ.ბ. პოლიაევი, როგაჩევსკი.
დასაწყისი საღამოს 9 ნახ. ს. კლუბში შესვლა საზოგადო წესით.
345 3—3

---

მიხეილის ალკრე

პლეხანოვის ქუჩა, 91.

პარასკევიდან იანვრის 30-ს პირველად თბილისში

## თავადი ფლორენციიდან

კინო-პიესა 3 მოქ.

„ლეოს სიკვდილი დაუგვიანდა"

კომიკური სურათი 1 მოქ.

დასასრულს სანახაობა „მონ-ბლანი".

დასაწყისი სალ. 5 ნახ. საათზე

---

## ხირომანტი-ასტროლოგი

იგებს: წარსულს, აწმყოს და მომავალს.

ლამაზების თარილით იქ არ მეოფებზედაც ლაპარაკობს.

მიღება 10—3 და 5—8 ს. მისამართი: თეატრალური ქუჩაზანდი, ივანოვის ნომრები, ოთახი № 12. 2765 4—3

---



## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა")

ყოველ დღე დღის 11—5 ს. სადილი.

ანგელესკოს რუმინული ორკესტრი

შაბათს და კვირას

დიდი ექსპრომტის საღამოებ".

დასაწყისი ღამ. 11 ს.

კონფერანსიე ნეჩაევი

---

შაბათს, 31 იანვარს, დღის 12 საათზე სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, ბარიატინსკის ქუჩა, 5, დანიშნულია

ქართველ სასოფლო-სამეურნეო საზ-ბის წევრთა

## წლიური კრება

საგანი კრებისა: საზოგადოების მოქმედების ანგარიშის განხილვა და საკითხი საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ. 2764 1 1

---

## პ. ფ. პალატნიკოვის

ბუღალტერიის პრაქტიკულ კურსებზე

მეცადინეობის დაწყება ახალ ჯგუფის 1 თებერვლიდან.

ჩაწერა სალ. 4—8 საათამდე მიხეილის პრ. № 132. 5—1

---

კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.

30 და 31 იანვარს

[illegible]

მხატვრული დრამა [illegible] მონაწილეობით.

დასასრულს „3 მამა და 1 შვილი" კომედია.

---

თბილისის

## სამაზრო ერობის

ტექნიკური განყოფილება

ყიდის საჯარო ვაჭრობით ორ ცხენს კვირას, 1 თებერვალს 12 საათზე (ელისაბედის ქ. № 196) 2777


---

## სომხეთ-აზერბაიჯანის განწყობილება

სომეხ-თათართა ერთმანეთის ქლეტა გრძელდება დღესაც იმავე სახით და ფორმით, როგორც ეს იყო ამ ორი ხალხის მონობის დროს რუსეთის ულელქვეშ. ვერ უშველა იმ გარემოებამ, რომ დღეს ორივე ხალხი დამოუკიდებელია და ორივეს აქვს საშუალება განავითაროს თავისი ეროვნული ძალები თავ-თავის თავისუფალ სამშობლოში. ამ სომეხ-თათართა შეხლა-შემოხლას არ აქვს წესიერი, განსაზღვრული მიზნისთვის ერთხელ დაწყებული და ბოლომდე დაყვანილი ომის ხასიათი. რაც გინდ სამწუხარო იყოს ამგვარი ომი მისი ლიკვიდაცია უფრო წესიერის გზით შეიძლება,—ძალის რეზონისა და სამართლიანობის რეზონის შეგუება მას განსაზღვრულ დასკვნას მისცემს საზავო სავალდებულო ხელშეკრულობის სახით. ამ შეხლა-შემოხლას კი აქვს პერმანენტული ხასიათი, ყოველდღიური ფაქტის ხასიათი, ყოველწუთს მოსალოდნელი სისხლის ღვრის ხასიათი. იგი თითქოს ერთმანეთში შერეულად მოსახლე ორივე ხალხის სისხლის მოთხოვნილება იყოს,—ამაშია მთელი სიძნელე ამ მოვლენის ლიკვიდაციისა.

არ უშველა არც იმ გარემოებამ, რომ სომხეთმა და აზერბაიჯანმა შეთანხმების ხელშეკრულება დასდვეს წარსული წლის გიორგობისთვეში, არც იმ კონფერენციამ, რომელიც ბაქოში გაიმართა აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელთაგან. სომეხ-თათართა შორის გამუდმებულად სწარმოებს შეტევა - შემოტევა, თავდასხმა, სისხლის ღვრა. და როგორც ყოველთვის, ერთი მხარე მეორეს აბრალებს თავ-დასხმის დაწყებას. თუ ერთის მხრით ნახიჩევანისა და აქულისის სომხები მიმართავენ პოლკოვნიკ ჰასკელს თათართა თავდასხმისაგან დაცვისა და შველა-დახმარების თხოვნით, მეორეს მხრით შუშის, ზანგეზურის, ჯებრაილისა და ჯევანშირის თათრობა აზერბაიჯანის მთავრობას შველას სთხოვს სომეხთა დარბევისა და თავდასხმისაგან, ამასობაში კი ორი ხალხის სისხლი შეუჩერებლივ იღვრება.

სულ უკანასკნელად აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნოტით მიმართა სომხეთის მთავრობას და მოითხოვა დაუყოვნებლივ სომეხთა თავდასხმის შეწყვეტა მაჰმადიანთა სოფლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღის ალღითვე ემუქრება. ჩვენი როლი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ამ ორის ხალხის შერიგებასა და ერთმანეთის სისხლის დაღვრის არიდებაში მდგომარეობს.

მაგრამ ვერავითარი მესამე პირის ჩარევა,—საქართველო იქნება ეს მესამე პირი, თუ ვინმე სხვა,—საქმეს ვერ უშველის, თუ თვით სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობანი მართლაც გულწრფელად და ლოიალურად არ შეეცდებიან ერთმანეთ შორის მშვიდობიანის გზით ანგარიშის გასწორებას. და უნდა გამოტეხილად ვსთქვათ, რომ ჩვენ, როგორც მესამე პირი, შორიდან მაყურებელი, ამ ლოიალურ და გადაწყვეტილ ცდას ვერ ვხედავთ. და ეს გარემოება ასაზრდოებს ამ შეხლა-შემოხლის მუდმივ შესაძლოებას და მის ფაქტიურ ყოველ დღიურობას.

სადაო მაზრებში, ერთს დარჩება ისინი თუ მეორეს სულ ერთია, მოხდება ეს მშვიდობიანის გზით თუ ბრძოლით, ყოველთვის დარჩება ფაქტიურად შერეული მოსახლეობა. ამ მაზრებში მოსახლეობის ერთფეროვნების შექმნა ყოვლად შეუძლებელი იქნება; ამიტომაც ამ ორი მებრძოლი ხალხის შეგნებულმა წრეებმა და მათმა მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ ეს საბოლოო ვითარება და დაერიდნენ ისეთ მეთოდს და ღონისძიებას, რომელიც საშვილიშვილოდ გადაჰკიდებს ამ ორ ეროვნებას, რომელიც გარემოების ძალით იძულებული იქნება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში იცხოვროს და ერთიმეორის მეზობლებად დარჩეს სამუდამოთ.

---

## საბედისწერო ქალაქი

თითქმის ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი საბედისწერო ტერიტორიული ნაწილები: საფრანგეთს ელზას-ლორენსი, იტალიას ტრიესტი, გერმანიას—დანციგი, ჩინეთს—კიაო-ჩაო.

თითქოს ისტორიულ აუცილებლობა მოითხოვდა საქართველოც ასეთ სახელმწიფოების კატეგორიაში მოქცეულიყო და ჩვენც გაგვჩენოდა ფატალურ შედეგებით სავსე განაპირა კუთხეები, რომელნიც სისხლითა და ხორცით საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენენ, მაგრამ რატომღაც ვიღაცას სადავოდ გამოდიან.

წინად და დღესაც ბევრი დაიწერა იმის შესახებ, ლორი საქართველოს ტრიესტი არის თუ არა.

ეხლა კიდევ ბათუმი შეიქმნა ქართული პრესის ჩვეულებრივი მსჯელობის საგანი.

თავის სახელმწიფოებრივი პიროვნების დავაჟკაცებისა და განმტკიცების კოშმარულ დღეებში ქართველმა დემოკრატიამ მძიმე ტკივილებით განიცადა ბათუმის დაკარგვა. დღეს ეს ქალაქი ჩვენი ქვეყნის საბედისწერო ქალაქად გადიქცა, იგი შეიქმნა საქართველოს წინააღმდეგ მტრულად განწყობილ ქვეყნიდან გადმოხვეწილ ელემენტების ნავთსადგურად და დასავლეთ ევროპის სულიერი თუ ნივთიერ კულტურის ნაცვლად ბათუმი დღეს რუსეთის პოლიტიკურ ავანტიურისტებს და მეკობრეებს გვიგზავნის.

სამწუხაროა, რომ ინგლისის მმართველმა ხელმა თავისი ორგანიზაციული ნიჭი და უნარი ვერ გამოიჩინა ამ ქალაქში.

ჩვენ ვიცით, რომ დიდი ბრიტანეთის კაპიტალისტებმა ბათუმ ყარსის რკინის-გზის გასაყვანად,—კარგა ძალი თანხა დაბანდეს; ეს გზა გადასჭრის მთელ სამაჰმადიანო საქართველოს და გარდა იმისა, რომ თვით საქართველოს მთავრობას ამის შესახებ არაფერს ეკითხებიან, ინგლისის მმართველობა არც ამ ოლქის სახელმწიფოებრივი მყუდროებისა და სიმშვიდის დასამყარებლად ზრუნავს თუნდაც საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად.

სურსათის კრიზისმა და საშინელმა სიძვირემ ბათუმის მცხოვრებლებში ანარქიული ენერგია დააგროვა და ამ რამოდენიმე დღის წინად მომხდარ პოგრომით დაგვირგვინდა.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით სომეხი და რუსი მილიციონერები ხალხს აშკარა აგიტაციით მოუწოდებენ თურმე პოგრომისაკენ და მთელს ოლქში ეს უცხო ელემენტები საშინელ პოლიტიკურ ატმოსფერას ჰქმნიან.

დღეს კიდევ ოდესიდან და ყირიმიდან ლტოლვილი რუსები ათასობით აწყდებიან ბათუმს და თავისუფლად ჰპოულობენ უკანტროლო თავშესაფარს.

რა უნდა იფიქროს და რა უნდა გააკეთოს იმ ხალხმა ბათუმში, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა ორგანიულად ვერ მოუნელებიათ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს:

ბულგარეთში მოძრაობა ისევ დაიწყო. ფილიპოპოლში მთავრობის ჯარსა და აჯანყებულებს შორის შეტაკება მოხდა.

გაზ. „ეხო-დე-პარი"-ს ციურიხიდან ატყობინებენ: ხმებია, რომ გენ. დენიკინი და მისი მთავარი შტაბი სტამბოლში ინგლისის გემით გაიქცა.

ჩრდილო დასავლეთის ყოფილ მთავარ-სარდალმა ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთის შორის ზავის შეკვრისა და შექმნილ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ ბრძანება გასცა ჯარის დასაშლელად.

## წერილები:

მეთაური—სომხეთ-აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა
პრესის მაგიერ.
სპარსეთის პრესსა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო.
თამბაქოს მონოპოლიის გამო.
ვასილ წერეთელი—საქართველოს კონსტიტუციის პროექტი.
სასოფლო მეურნეობა.

ვერც საკუთარ ქვეყნის ბედს შერწყებიან.

ასეთ ლტოლვილთა ლაგერში განსაკუთრებით ისეთი ელემენტებია თავმოყრილი, რომელთაც ქვეყნის სიმშვიდეზე ფიქრი არ შეუძლიათ, და საკუთარ სამშობლოს მოწყვეტილნი თავიანთ არსებაში სხვის სამშობლოს ნგრევისა და რღვევის ტენდენციას ასაზრდოებენ.

სხვათაშორის თებერვლის 28-ს ბათუმის საქალაქო არჩევნებია დანიშნული და საქართველოს არ აქვს გარანტია, რომ ეს უცხო ელემენტები, რომელნიც დღე და ღამ საქართველოს ასაფეთქებელ მასალებს ამზადებენ, ამ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ჩვენ არ ვიცით რა ზომებს ღებულობს ასეთ პერსპექტივის წინააღმდეგ ბათუმში მომქმედი ქართული ეროვნული საბჭო ან ადგილობრივი ქართული ელემენტები, მაგრამ ჩვენი ძალების ორგანიზაციული მუშაობას, რომ მეტი სიფხიზლე ემჩნევა ეს ცხადია: რუსული იდეოლოგიით შეიარაღებული ბათუმის კომუნისტები ადგილობრივ დემოკრატიას საარჩევნო ბოიკოტისაკენ მოუწოდებენ პრესითა და და აშკარა აგიტაციით.

ეს ერთი ისეთი ცდაა და განზრახვა, რომელსაც საქართველოს დემოკრატიისა და ბათუმის ერთმეორისაგან გათიშვა აქვს მიზნად დასახული.

ჩვენ იმედი გვაქვს, როგორც ბათუმის ქართული ეროვნული საბჭო, ისე მთელი ქართველობა ამ საშინელ მოვალს გაითვალისწინებენ და მომავალ არჩევნებში ენერგიულ მონაწილეობას მიიღებენ.

ამას მოითხოვს ეროვნული ინტერესი.

## პრესის მაგიერ

„ერთობა" დემაგოგიაში დაიბადა და დემაგოგიაშივე უნდა დალიოს თვისი დუხჭირი სული. არასდროს მას მოპირდაპირის მიმართ არ უხმარია კეთილშობილი იარაღი, ლოღიკა, ფაქტები და აკადემიურობა. ასე მოიქცა ეროვნულ თავისუფლებისა და საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეის გარშემო, რომელიც მან ხალხს ტყუილებით და ინსინუაციებით შეაძაგა—ავტონომია თავად-აზნაურობის ბატონობაა და გაუნათლებელი მასსა დაიბრიყვა და ფეხით ათელვინა ერის წმიდათა წმიდა,—ის, რასაც დღეს გაუწითლებლად თვით „ერთობა" აქებს და ადიდებს, თუმც ხან და ხან, ძველი ავადმყოფობის შემობრუნების დროს, კიდევ ჩასწიხლავს და ჩამოაქვეითებს. ასე იქცეოდა „ერთობა" სხვა სოციალ-პოლიტიკურ საკითხების გარეშემოც: ყოველთვის ლანძღვის და დემაგოგიის ქარბუქს დააყენებდა, რომ ხალხი ვერ გამორკვეულიყო და ბურუსში ჰყოლოდა. ეს „ერთობის" ტრადიციაა. მის გამოსწორება მხოლოდ საფლავს შეუძლიან და მოხდება მაშინ, როდესაც ამ ქვეყნად გავლენ გულნამცეცა და შინ აღზრდილი პროპაგანდისტები, რომელნიც „ერთობის" „იდეოლოგიურ" ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობენ და როდესაც აღზრდილი და განათლებული თაობა ჩაუდგება სათავეში „ერთობის" პარტიას და რედაქციას. მანამ კი იგი დარჩება რაც არის—ფუქცელი დემაგოგიისა და უშვერობის.

ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, რომ როგორც „ერთობას" კუდზე ფეხი დავაჭირეთ და ვამხილეთ—რაკი თვითონ ჩამოაგდო ამაზე სრულიად უსაგნოდ სიტყვა და ლაპარაკი—თუ რა და რა საშუალებით და ვისი „ნასუფრალით" მოიკაზმა მის მოწინავე ლაშქრის უდიდესი ნაწილი,—რომ „ერთობა" გადმობრუნდა თავის ლექსიკონს და გადმოისვროდა ლანძღვისა და ურიგობა-უხამსობის უკანასკნელ სიტყვებს. ასეც მოიქცა ქუჩის და ურიგო ადგილების „მწერალი" მივიდა და „როსკიპ ქალის" წინ შეჩერდა. არ რცხვენია „ერთობის" უსახელო ავტორს, რომ გაზეთში ამგვარი უშვერი ქუჩური სიტყვები იხმაროს მოპირდაპირის მიმართ. ეს ამაღლევებელია ადამიანის სინდისის; ამას იქით შეუძლებელია ადამიანმა „ერთობის" გვერდით გაიაროს თუ არა ცხვირი დაცული! ამას იქით „მწერლის" ზნეობის დაცემა ვერ წავა. ამის შემდეგ, ისევე უსაგნოდ, ისევე დაუსაბუთებლად ისევე დემაგოგიურად და ქუჩურად ილანძღება და სპეკულიანტობს გვიკიჟინებს. სპეკულიანტებს ჩვენ ვებრძვით იდეურად, ვებრძვით პრესსით და სიტყვით. ეს იცის „ერთობის" მართლაც უსახელო „მწერალმაც". ისიც იცის რომ ჩვენ ვებრძვით იმ ჭუჭყიან ეკონომიურ პოლიტიკას და უვიც მომმარაგებლებს, რომელნიც ჰქმნიან ნიადაგს სპეკულიაციისთვის, ე. ი. ვებრძვით „ერთობის" ეკონომიურ პოლიტიკას და საქმიანობას. რამდენი ხანია, რაც მივიღეთ სასტიკი კანონი სპეკულიაციის წინააღმდეგ გვკითხებით, რატომ ერთი პროცესიც ვერ შექმენით სპეკულიანტის გასასამართლებლად. თქვენ ხელთაა ყველაფერი; ისინიც თქვენ გახვევიან გარს, რადგან საქმის გაკეთება, ნებართვები, წაღებ წამოღება არ შეიძლება გარეშე სურსათის და მომარაგების დარგში თქვენი ჩაყენებული კაცებისა.

რაღა აქ სუსტობთ ამ სპეკულიანტების აღმოჩენის, დაჭერის და მკაცრად გასამართლების საქმეში?! ყველაფერი შეგიძლიანთ და ეს კი არა?! რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ?! სპეკულიაცია და სპეკულიანტები—ეს ის მახრჩობელა კომლია, რომელიც თქვენს მხოლოდ კერას გარს შემოუყენებია. სპეკულიანტების გაქრობა, თქვენი კერის ჩაქრობით შეიძლება. თქვენ წახვალთ და ისინიც თან გაგყვებიან!

## სპარსეთის პრესა
### საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო

საქართველოსა და აზერბაიჯანის აღიარების გამო სპარსეთის მთავრობის ოფიციოზი „ირანი" სწერს:

„სპარსეთი ოდითვე ოცნებობდა, ჰყოლიყო კეთილი არა-იმპერიალისტურად მოაზროვნე მეზობლები.

...საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გაზეთი ამბობს:

„სპარსეთს ისტორიული კავშირი აქვს საქართველოსთან. იმ დროს, როცა სპარსეთის ხალხი ებრძოდა თავის დესპოტიურ მთავრობას, ქართველი მოღვაწენი იზიარებდნენ ამ ბრძოლას სპარსელ სოციალისტებთან. სპარსეთის ხალხი არა დროს არ დაივიწყებს იმ უანგარო მებრძოლთ თავისუფლებისათვის, რომელნიც მუშაობდნენ სპარსეთის თავისუფლების მოსაპოვებლად".

ყველაზე გავრცელებული გაზეთი „რადი" სწერს:

„ტელეგრაფმა მოგვიტანა სასიხარულო ამბავი, რომ საქართველო და აზერბაიჯანი აღდგნენ ისტორიულ საფლავიდან ახალ თავისუფალ და დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის. სულითა და გულით მივესალმებით ამ დიდებულ აქტს ორივე ხალხისას და ვუსურვებთ ბედნიერებას მათს დამოუკიდებელს და კულტურულ ცხოვრებაში".

შემდეგ გაზეთი ასეთივე სიხარულით აღნიშნავს ჩვენი მეზობელ სახელმწიფო აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების ამბავს და იმედს გამოსთქვამს, რომ ეს ორი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო განმტკიცებულნი ამიერ-კავკასიის სიმდიდრის ძალით იცხოვრებენ უშურველად, დაივიწყებენ ძველ ანგარიშებს და არ ჩაერევიან რუსეთის შინაურ საქმეებში.

## თამბაქოს მონოპოლიის გამო
### დეპეშები სოხუმიდან

1

დამფუძნებელ კრების წევრმა ბ-ნმა სპირიდონ კედიამ მიიღო შემდეგი დეპეშა ქ. სოხუმის თამბაქოს მრეწველთა საზოგადოებიდან:

„აბხაზეთის ვაჭარ-მრეწველთა კლასი, რომელმაც ამ მხარეში ათი წლის განმავლობაში შექმნა თამბაქოს კულტურა, „თამბაქოს მრეწველთა საზოგადოების" სახით, მიაქცევს თქვენს ყურადღებას ხსენებულ მრეწველობის საშინელ მდგომარეობაზე, რომელიც გამოწვეულია ყოვლად დაუშვებელ და აუტანელ მონოპოლიის გატარების წესით და სთხოვს თქვენს ფრაქციას აღმოუჩინოს დახმარება ამ საკითხის სასწრაფოდ განხილვის საქმეში, რათა თამბაქოზე შემოღებული იქმნას ისეთი მონოპოლია, როგორიცა დაწესებულია მარგანეცზე. ამის შესახებ დაწვრილებითი პროექტს მალე წარვადგენთ."

გაზ. „საქართველო"-ს სახელზე:

თამბაქოს მონოპოლიის გატარების წესი მოითხოვს რადიკალურ გადასინჯვას. საჭიროა სასწრაფოდ წამოყენებულ იქმნას დამფუძნებელ კრების მორიგ საკითხებ შორის ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის კანონმდებლობითი ხასიათის წინადადება. მონოპოლიის შესახებ დაწვრილებითი პროექტს წარვადგენთ, რომელშიც უზრუნველყოფილ იქნება ხაზინის მაქსიმალური ინტერესი და აგრეთვე სამშობლოს მრეწველობის მდგომარეობაც. აუცილებელია მთავრობის აგენტების მოქმედების დროებით შეჩერება.

ალ. ახათიანი.

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

**კაფეების დახურვა.**

ბაქოს გუბერნატორის ბრძანებით თებერვლის 1 ლისათვის უნდა დაიხუროს „კაზინოს" „რენესანსის", „მომუსის", „ლუნაპარკის" კაფე-რესტორანები და მათგან დაჭერილი შენობები დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ. ამ რესტორანების დაკეტვით 700 მეტი მოსამსახურე უმუშევრად რჩება.

იანვრის 26-ს „კაზინო"-ს შენობაში გაიმართა მოსამსახურეთა კრება, რომელზედაც ითათბირეს გაცემულ ბრძანების შესახებ.

კრების დადგენილებით უნდა მხედველობაში მიიღონ 700 მოსამსახურის მდგომარეობა და ორი თვის ჯამაგირის მიცემით აღმოუჩინონ დახმარება. დახმარების აღმოჩენაზე იშუამდგომლებს პროფესიონალ კავშირი, მაგრამ მას მიზნად არ ექნება ხელ ახლად გახსნა იმ რესტორანების, რომელთაც დღემდის გარყვნილების მეტი არაფერი შეჰქონდათ ხალხში.

**გაზ. „აზერბაიჯანი"-ს თანამშრომელთა გაფიცვა.**

გაზეთ „აზერბაიჯანის" თანამშრომლებმა მოითხოვეს ჯამაგირების 50 პროც. მომატება და სტრიქ. 45 კაპ. ჰონორარის მიცემა. რადგან მოთხოვნილება ჯერ არ იქმნა დაკმაყოფილებული ჟურნალისტთა კავშირმა გაზ. „აზერბაიჯანს" გაფიცვა გამოუცხადა.

**სამინისტროს კრიზისის მოლოდინში.**

რადგან „მუსსავატმა" გამოიწვია მთავრობიდან შინაგან საქმეთა მინისტრი, რასაც შინაგან პოლიტიკის შეცვლა მოჰყვება, ადვილი შესაძლებელია მთავრობიდან სოციალისტების გამოსვლა და მინისტრთა კრიზისი. („ისკ.").

**საბჭოთა მთავრობის ნოტა აზერბაიჯანს.**

ქალაქში გავრცელებულია ხმები, თითქოს აზერბაიჯანის გარეშე საქმეთა სამინისტროს მიეღოს ხელმეორედ ნოტა საბჭოთა მთავრობისაგან, დენიკინის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის დადების შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება. საბჭოთა რუსეთი სცნობს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას. მთავრობის პასუხი ჩიჩერინის ნოტაზე დამოკიდებულია პოლიტიკურ და საერთაშორისო პირობებზე. („ისკრა").

**აზერბაიჯან სპარსეთის კონფერენციის სხდომა.**

იანვრის 27-ს გარეშე საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით აზერბაიჯან სპარსეთის კონფერენციისა გაიმართა სხდომა, სხდომაზე გან ხილეს ფოსტა-ტელეგრ. მინისტრის პროექტი ფოსტა-ტელეგრაფის მიმოსვლის შესახებ. ამ პროექტზე მსჯელობა ჰქონდა განსაკუთრებულ კომისიასაც, რომელიც ორივე დაინტერესებულ მხარეთ წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა.

ზოგიერთ შესწორებით პროექტი მიღებულ იქმნა, მომავალ სხდომაზე, რომელიც დაინიშნა ინვრის 30-ს განიხილავენ დებულებებს ტრანზიტის შესახებ.

**ახალი მინისტრები.**

პარტია „იტტიხადი" საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატურაზე ასახელებს: თალაათ-ბეის, საალი სეკი ბეის და ბეხადინ-ბეის.

## სომხეთი

**სომხეთის მანდატი**

გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმს"-ი იტყობინება, რომ თუ შეერთებულ შტატების მთავრობამ არ მიიღო სომხეთის მანდატი, იგი ნორვეგიის მთავრობას გადაეცემა.

**ბრაზილიის სომეხთა მიმართვა ლოიდ-ჯორჯისადმი**

რიო დე-ჟანეიროს სომხების დეპეშით მიუმართნიათ ლლოიდ-ჯორჯისათვის და უთხოვნიათ, ნომ მან ხელი შეუწყოს სომხეთის განთავისუფლებას. („ტაიმს").

## დაღესტანი და აზერბაიჯანი

(საკუთ. კორესპონდ.)

აზერბაიჯანის კოალიციურ მთავრობამ თავის დეკლარაციაში „მოძმე დაღესტნის მიმართ" ცნობილი მოწოდება გამოაქვეყნა. მოწოდება ჰგულისხმობს მთის უფროს ძმა აზერბაიჯანთან აუცილებელ დაახლოებას და ბოლოს შეერთებასაც. შესაძლებელია ასეთი მისწრაფება პოპულიარულიც იყოს აზერბაიჯანში მაგრამ აქ გაცილებით საინტერესოა თუ როგორ უყურებს ამ საკითხს თვითონ დაღესტანი, ჰსურს თუ არა დაღესტანს მაჰმადიანურ აზერბაიჯანთან შეერთება? ამის საპასუხოდ საკმაოა მოვიგონოთ დაღესტან-აზერბაიჯანის კონფერენცია ბაქოში, რომელზედაც წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველა ერთან შეიძლება შეერთება, ხოლო აზერბაიჯანთან არასოდესო, დაღესტნის ხალხი ამბობს „გავთხოვდე და ისიც ულამაზო ცუდს წავყვეო"?

დაღესტანი იმ თავიდანვე უკმაყოფილო ყოფილა აზერბაიჯანის, რომ ამ უკანასკნელს სისხლში მცურავ ლეკებისათვის არავითარი შველა არ მიუცია, გარდა ამისა კიდევ არის გარემოება, რომელიც დაახლოვების მაგივრად უთანხმოებას ჰბადებს. ეს არის აზერბაიჯანის მიერ 150 ვერსის რკინის გზის მისაკუთრება ყუბის მაზრითურთ—სადგ. დევიჩამდე, ამ ადგილებში მცხოვრებნი სულ ლეკები არიან და არაჩვეულებრივად იწევენ დედა დაღესტნისკენ. ამ კუთხეებიდან ჯარში გაწვეულები მეორე დღესვე სახლში გამორბიან, დაღესტანელ ლეკს აზერბაიჯანელ თათარზე უფრო კულტურულად მოაქვს თავი, 10 წლის ბავშვი აზერბაიჯანელს „ჰამშარს" ეძახის.

დაღესტნის დარბაისელი პირები აცხადებენ, რომ ისტორიულ წარსულში დაღესტანი არასოდეს არ ჰყოფილა აზერბაიჯანთან, ჩვენ დღეს გვახარებს შამილის გაგონება და ამ შამილის ბალღს ვერასოდეს ვერ დაიკავებენ ბაქოს—ან განჯის ხანები. ამ რამდენიმე ხნის წინად დაღესტანში იმდენად უკმაყოფილონი იყვნენ აზერბაიჯანის, რომ ბოლშევიკებს შეუერთდენ და ბაქოს დასამხობად მიემართებოდენ, რომ შეიხულ ისლამს არ შეეჩერებია.

ამის შემდგომ ცხადია თუ აზერბაიჯანს გადაწყვეტილი აქვს დაღესტანის შეერთება, ეს განზრახვა გამოძახილს დაღესტანში ვერასოდეს ვერ იპოვის.

სად. დივიჩი. ი. დიდიძე.

## რუსეთი

**ქ. ქ. როსტოვისა და ტაგანროგის აღება მოხალისეთაგან**

გაზ. „გოლოს როსიის" ცნობით, იანვრის 21-დან გენ. ტოპორკოვის ცხენოსან რაზმმა უკუ აქცია გენ. ბუდიონნაგოს რაზმი. გენ. მამონტოვმა დაარბია დუმენკოს რაზმი. წითელთა რაზმის შემოტევა ბატაისკ და როსტოვს შორის შეჩერებულია. ამ ჟამად ნოვოროსიისკენ გზას სწმენდავენ, მოხალისებმა როსტოვი და ტაგანროგი დაიჭირეს.

**ამბოხება მოხალისეთა კასპიის ფლოტის მეზღვაურთა შორის**

უკანასკნელ ხანში მოხალისეთა კასპიის ფლოტის მეზღვაურთა შორის თავი იჩინა ამბოხებამ. უკანასკნელნი ცდილობენ მეზღვაურთა დატუსაღებით და ჩამოხრჩობით სიმშვიდე შეიტანონ მათში, განსაკუთრებით არაკეთილ საიმედოთ ითვლება გემი „ორლიონიკი". ამ გემის მეზღვაურთაგან 6 უკვე ჩამოახრჩეს აჯანყების ხელმძღვანელობისათვის („ისკრა").

**პეტროვსკის ევაკუაცია**

მოხალისეთა მიერ პეტროვსკის ჩუმი ევაკუაცია ხდება. ქონება გადააქვთ ეკატერინოდარსა და ნოვოროსიისკში („ისკრა").

(საქ. დეპ. ს.)

### ლენინის სიტყვა

**მოსკოვი.** იან. 29. სახალხო სამეურნეო საბჭოს ყრილობის მე 5 დღეს ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა: „ცდა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ მოახდინა სამხედრო აღმაშენებლობის საქმეში არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც განცალკევებული ცდა. ომი თავის შემადგენლობაში ყოველგვარ სახის აღმაშენლობას შეიცავს. ჩვენ არმიის აღმაშენლობამ მხოლოთ იმიტომ მიგვიყვანა სასურველ შედეგამდე, რომ იგი იქმნებოდა საბჭოთა საერთო აღმშენებლობის თანახმად კლასთა დამოკიდებულების საფუძველზე. ამ ცდას უნდა ჩაუკვირდეთ. მან ჩაიარა მიზან შეწონილად განვითარდა რა იგი შემთხვევითი კოლეგიალობიდან, კოლეგიალობით, რომელიც ორგანიზაციის სისტემაში იყო შეტანილი... (გამოტოვებულია)... უკეთეს შემთხვევაში კოლეგიალობა იძლევა ძალების დიდ დახარჯვას და არ აკმაყოფილებს სისწრაფეს და იმ გარკვევით მუშაობას, რომელსაც ითხოვს მსხვილი მრეწველობის მდგომარეობა. მეორე საკითხი გარდა კოლეგიალობისა, არის საკითხი მშრომელი არმიისა. ჩვენ წინ სდგას მიზანი, რომელიც ეხება ჩვენი მოქმედების ორი ხანის შეცვლას. ის დრო, რომელიც სრულიად დაჭერილი იყო ომით, ჯერაც არ დასრულებულა. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად. მაგრამ საერთოდ ის ომი რომელიც თავზე დაგვატეხეს კაპიტალისტებმა ორი წლის წინად გამარჯვებით დასრულდა და ჩვენ ზავის საკითხებზე გადავდივართ. უნდა გაგებულ იქნას ამ გადასვლის ორიგინალობა.

ქვეყანა სრულიად განადგურებულია, იგი სიცივითა და სიმშილით არის მოცული, სიღარიბემ მიაღწია საშინელ საფეხურს და მთელი თვისი ძალით ამდგარი ხალხი, თითქოს დარწმუნდა მასში, რომ მას შეუძლია მთელ ქვეყანას გაუმკლავდეს. ამის გამო ხალხმა მიიღო თავისი თავის რწმენა და იგი გადაუდებელ საქმეთა გასაკეთებლად წინ აყენებს მშრომელ არმიებს. ჩვენ უნდა შევჩერდეთ მთავარზე, შევკრიბოთ პური, მოვაგროვოთ ის ცენტრში, ამ საქმიდან გადახვევა ჩვენი საქმისთვის სასიკვდილო ლახვარი იქნება. მშრომელი არმიის შექმნით, მთელი მუშების და გლეხების ძალების მოგროვებით ჩვენ შევძლებთ მრავალ ასი მილიონი ფუთი პურის შეკრებას. ისინი ჩვენ გვაქვს. ჩვენ განვავითაროთ ბრძოლა, ბრძოლა რომელიც შრომის ფრონტზე ბევრს მსხვერპლს მოითხოვს. მსხვერპლს ჩვენ აუცილებლად მოვიტანთ, რადგან ჩვენთან სიცივე, სიმშილი და ავადმყოფობაა. ყველა ამ უბედურებასთან ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და ყოველის მხრიდან უნდა დავიწყოთ ჩვენი სახელმწიფოს აშენება მრეწველობის მსხვილი მანქანების ნიადაგზე, რათა ჩვენი სახელმწიფო შეიქმნეს კულტურული და სოციალისტური სწორი ბრძოლით ამოვიყვანოთ იმ ჭაობიდან, რომელშიაც ჩაირჩნენ ამ ჟამად მსოფლიო კაპიტალიზმის სხვა ქვეყნებში.

**ბოლშევიკების სამხედრო ცნობა**

ნარვის რაიონში 16 გამოქცეული მოვიღენ. რეჟიცის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის. მოზორის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის. მოზირის რაიონში მდ. ატიჩზე ბრძოლაა. მოზირის საჩხრეთ დასავლეთით 35 ვერსზე ჩვენ ბრძოლით სოფლები ავიღეთ. ელისავეტგრადის რაიონში ნოვომირგოროდის სამხრეთით 15 ვერსზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ და დაბა მალაია-ვისკა ავიღეთ. პერეკოპის ჩრდილოეთით და გენიჩესკის დასავლეთით 15 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევითი ბრძოლას აწარმოებს. ნოვოჩერკასის რაიონში ჩვენ ბრძოლით ავიღეთ სად. მანიჩსკაია და ამ სადგურის სამხრეთ აღმოსავლეთით 10 ვერსზე მდებარე რამდენიმე სოფელი. ჩვენი ცხენოსანი ნაწილები გადავიდნენ მდ. მანიჩის მარცხენა ნაპირზე და აგრძელებენ [illegible] დენ აგრეთვე მდ. კალაუსზე და მიტროფანოვკა დაიჭირეს. ამ მდ. მარცხენა ნაპირზე ჩვენ ვოზდვიჟენსკოე ავიღეთ.

(საქ. დეპ. სააგ.)

**დენიკინელები ცარიცინში**

ც. ა. კომიტეტის თავმჯდომარე კალინინი „იზვესტიაში" სწერს იმ ბოროტებასა და საშინელ მდგომარეობაზე. რომელიც დენიკინელებმა ცარიცინში დასტოვეს. თეთრები უაზროთ არბევენ ყველა იმას რისი დარბევაც შესაძლებელი იყო. აფეთქებდენ სასტუმროებს, წყალსადენებს ურომლისოდაც 200 ათასი მცხოვრებნი უწყლოთ და უსინათლოთ დარჩენ. დაზარალდა ქარხნები და განსაკუთრებით ბოლშევიკური ფრანგული ქარხანა. ქალაქში ტელეფონის ბოძებზე ეხლაც არის დარჩენილი ბაწრები რომელზედაც ცარიცინელებს ჰკიდებდენ.

**სემიონოვის ნაწილების განიარაღება ქ. ირკუტსკში.**

**ბოგოტოლი,** იან. 21. ჩეხებმა სემიონოვის ნაწილების განიარაღება დაიწყეს 7 იანვარს ქ. ირკუტსკში, რომელიც შემდეგ განვითარდა აღმოსავლეთის მიმართულებით და 10 იანვარს ვერხნეუდინსკამდესაც მიაღწია.

(საქ. დეპ. სააგ.).

**ამირბარი კოლჩაკი.**

საფრანგეთის წრეები ადასტურებენ „ტაიმსის" დეპეშების სინამდვილეს იმის შესახებ, რომ ამირბარი კოლჩაკი ირკუტსკის რევოლუციონურ-სოციალისტურ მთავრობის ხელში იმყოფება. საფრანგეთის მთავრობა ამის შესახებ შეეკითხა ციმბირში მყოფ თავის უმაღლეს კომისარს და მიანდო მას ამირბარის განთავისუფლების მოთხოვნა.

(საქ. დეპ. სააგ.).

**გენ. დენიკინი.**

იანვ. 28 გაზ. „ეხო-დე-პარი"-ს ციურიხიდან ატყობინებენ: ხმები დადის რომ გენერალი დენიკინი და მისი მთავარი შტაბი გაიქცა სტამბოლში ინგლისის გემით.

(საქ. დეპ. სააგ.).

**ჩრდილო-დასავლეთ არმიის დაშლა.**

**იურიევი,** იანვ. 27. ესტონეთის გაზეთების ცნობით, ჩრდილო-დასავლეთის ყოფილმა მთავარსარდალმა ბრძანება გასცა, რომელიც ჯარს აცხადებს დაშლილათ, დაშლის მიზეზათ აცხადებს ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთის შორის ზავის შეკვრას და შექმნილ მდგომარეობიდან გამოუსვლელობას.

## ოსმალეთი

**ოსმალეთი და მოკავშირენი**

პარიზის პრესსა ეხება კონსტანტინეპოლის საკითხს. „გოლუა" და „ფიგარო" გამოსთქვამენ შიშს, რომ ინგლისის პროექტი ოსმალთა მცირე აზიაში დაბრუნებისათვის, სერიოზულ შედეგებს მოიტანს.

„გოლუა" ამბობს: „ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რათა ლლოიდ-ჯორჯი ანგარიშს არ უწევდეს იმ დიდ საშიშროებას ინგლისისათვის, რომელიც მოსალოდნელია ოსმალთა განდევნილ ბოსფორის ნაპირებიდან".

„ფიგარო" ამბობს: „სულთანის ხელმწიფების დაცვა კონსტანტინოპოლში იქნება უფრო დარბაისლური გარანტია სრუტეების თავისუფლებისათვის".

იტალიის პრესსაც ასევე მხარს უჭერს ოსმალთა დატოვებას ევროპაში. რეიტერი იუწყება, რომ გამოსავალია ახალი პროექტი ოსმალთა მთავრობის ბრუსაში გადასვლისა და სტამბოლში დატოვება სულთანის, როგორც ხალიფატის მეთაურის.

**ოსმალეთის პარლამენტის გახსნა**

იანვრის 12 ს სტამბოლში გაიხსნა ახლად ამორჩეული პარლამენტი 78 დეპუტატის თანადასწრებით. მიუხედავად იმისა, რომ კვორუმი არ იყო, სხდომა გაიხსნა. სეფე სიტყვა წარმოსთქვა დიდმა ვეზირმა ალი რიზა ფაშამ, რის შემდეგ დ მსწრე დეპუტატებმა ფიცი მიიღეს. სეფე სიტყვა ჰპირდება შინა მმართველობაში რეორგანიზაციის მოხდენას და ეროვნულ უმცირესობათა სრულ უზრუნველყოფას.

**მაჰმადიან ინტელლიგენტთა ყრილობა**

შვეიცარიის ერთ-ერთ ქალაქში მომხდარა ალჟირის, ტუნისის, ეგვიპტეს და სხვა მაჰმადიანთა ქვეყნების წარმომადგენელთა კონგრესი საიდ ალი ფაშას თავმჯდომარეობით. არკვევდენ პოლიტიკურს და სარწმუნოებრივს საკითხებს. მიღებული გადაწყვეტილებები ინახება საიდუმლოდ.

**ეროვნული მოძრაობა ოსმალო ქალთა შორის**

სომხური გაზეთი „ჰოკატამარტი"

იტყობინება, რომ ოსმალო ქალებმა შეადგინეს ცალკე ორგანიზაცია, რომელსაც, მსგავსად მუსტაფა ქემალ ფაშის ეროვნული ძალებისა, მიზნად აქვს დასახული ბრძოლა ოსმალეთის დანაწილების წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციის სათავეში სდგას სებასტიის გუბერნატორის რაშიდ ფაშას მეუღლე. ორგანიზაციის ცენტრი სებასტიაშია.

## საფრანგეთი

**რ. პუანკარეს არჩევა**

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ რ. პუანკარე არჩეულია მაასის დეპარტამენტის სენატორად. მის გარდა არჩეულ არიან პოლდუპუი, ბერტელა, გიუტ ლერუ, ვიქტორ ბერარი, ჟორჟ ლევი და სხვანი.

(საქართ. დეპეშ. სააგენტო)

**ბელგია და საფრანგეთი**

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ბელგიის მეფეს, ორივე სახელმწიფოს პრემიერ მინისტრებს, ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრს, ორთავე ელჩებს და მარშალ ფოშ მსჯელობა ქონდათ სხვა და სხვა ფინანსიური-ეკონომიურ და სამხედრო საკითხებზე, რომელნიც ორივე მხარეს აინტერესებს. აზრთა გაცვლა-გამოცვლას მეგობრული ტონი ქონდა. შედეგები ორივე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებელია. ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: ბელგიის მთავრობა საფრანგეთს გადასცემს ყველა ნახშირს, რაც მის განკარგულებაშია; შრომის მინისტრმა მაღაროების მუშებისადმი მოწოდება გამოსცა სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ სწორედ იმ მიზნით, რომ თავის ფრანგ ძმებს დაეხმარონო.

(საქ. დეპ. სააგ.)

**პუანკარეს მოგზაურობა ბელგიაში**

„ტანი" შემდეგნაირად აგვიწერს პუანკარეს მოგზაურობას ბელგიაში: საფრანგეთის პრეზიდენტის იზერის ფრონტის წამებულ ქალაქებში დარბაზობამ საფრანგეთ-ბელგიის მეგობრობის მანიფესტაციის ხასიათი მიიღო. ამ დარბაზობამ მთელ ბელგიაში გამოიწვია ცოცხალი ინტერესი, რადგანაც გარდა იმისა, რომ საფრანგეთმა პატივისცემა გამოხატა იმ ქალაქებისადმი, რომელნიც 5 წლის განმავლობაში მედგრად იცავდნენ ბელგიის მიწის უკანასკნელ ნაჭერს, პუანკარეს დარბაზობას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ოთხშაბათს ბრიუსელში პალატის სხდომა არ იქნება, რათა საშუალება მისცენ დიდი ნაწილს. (გამოტოვებულია). რესპუბლიკის პრეზიდენტი, და რომ ბელგიის მხრივ პრემიერ მინისტრი დელაკრუა და გარეშე საქმეთა მინისტრი პოლ გიმანი მეფე ალბერტს თან ახლავან საკმაოთ ამტკიცებს იმას, რომ მეტად დიდმნიშვნელოვანი საუბრები გაიმართება, რომელიც უეჭველად შეეხება საფრანგეთისა და ბელგიის ეკონომიურსა და სამხედრო შეთანხმებათ. ამ შეთანხმებას ესწრაფის ბელგიის ყველა პატრიოტი, მან საბოლოოდ უნდა განამტკიცოს ის ძლიერი კავშირი, რომელიც მუდამ არსებობდა ორ ნათესავ ხალხში. აზრი არსებობს დღეს ბელგიის პოლიტიკურ წრეებში და ეს როგორც სჩანს, მტკიცდება მით, რომ ბელგიის ქალაქებისადმი სამხედრო ჯვრის გადაცემის ცერემონიის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მეფე ალბერტს შორის მატარებელში იქნება საუბარი, რომელშიაც ორივე მხრით მონაწილეობას მიიღებენ მინისტრები და სამხედრო უფროსები.

## გერმანია.

**თავდასხმა ერცბერგზე**

(ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი)

**ნაუენი, 27 იანვარი.** როდესაც ერცბერგერი გამოდიოდა სასამართლოს შენობიდან, სადაც გელფერიხის საქმე ირჩეოდა, მას ორჯერ ესროლა ყოფილმა პრაპორშჩიკმა ფონ-გირშფელდმა. გერმანული მემარცხენე პრესსა ამ თავდასხმის პასუხისმგებლობას აკისრებს მემარჯვენე პრესას, რომლის პროპაგანდის წყალობით შესაძლებელი შეიქნა თავდასხმა. ფონ-გირშფელდმა განაცხადა, რომ თავდასხმა მას გააბედინა იმ რწმენამ, რომ ერცბერგი გერმანიისთვის მავნე ელემენტია და როდესაც მას მოჰკლავდა, ამით დიდ სამსახურს გაუწევდა ხალხს.

**საზავო ხელშეკრულობის 228 და 230 მუხლები**

გერმანია ანტანტას სთხოვს, რათა მან უარი სთქვას საზავო ხელშეკრულების 228 და 230 მუხლების ცხოვრებაში გატარებაზე. ეს მუხლები დამნაშავეთა გაცემას ეხება.

**ვილჰელმ ჰოგენცოლერნი**

ვილჰელმ ჰოგენცოლერმა ამერონგენის სასახლეში იდღესასწაულა თავის დაბადების 61 წლის შესრულება.

**ლუდენდორფი.**

ფილ. ლუდენდორფმა განაცხადა, რომ მას სრულიადაც არა აქვს ფიქრად რომ დაისვენოს და მომავალ არჩევნებში, როგორც ყოფილი რეიხსაგის დეპუტატი წამოაყენებს თავის კანდიდატურას პროგრესისტ-კონსერვატორების პარტიიდან.

**სამართალში ომის გამომწვევ დამნაშავეებზე.**

საერთაშორისო მოკავშირეთა კომისსიამ დაუგზავნა საბოლოოდ გამორკვეული ხელწერილები ყველა იმ პირთ, ვისაც სრალდება ომიანობის გამომწვევის დანაშაულობაზე.

**ამერიკა და აღმოსავლეთის საკითხი**

იტალიის გაზეთები იუწყებიან: ამერიკის მთავრობამ აცნობა მოკავშირეთა მთავრობათ, რომ შეერთებულ შტატებს ოსმალეთის საკითხი სერიოზულად აინტერესებს და გავრცელებული ხმები, ვითომც ამერიკა არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს ამ კითხვის გადაწყვეტაში, სიმართლეს მოკლებულია.

## ავსტრია

**ავსტრიის ფლოტი.**

გაზ. „ლანცეიანტს" (18 იანვრის თარიღით) ატყობინებენ ჟენევიდან: ამას წინად კატაროში მოსული მოკავშირეთა საზღვაო კომისია ადასტურებს წინანდელ ცნობას, რომ იქ მყოფი ავსტრიის ფლოტი, რომელიც საზავო ხელშეკრულების ძალით უნდა გადასცემოდა მოკავშირეთ, ხელმეორედ დაუზიანებიათ. ავსტრიელებს დაუშლიათ და მოუხსნიათ უმთავრესი ნაწილები გემების მანქანებისა, რის გამოც გემებს ზღვაში გასვლის საშუალება მოსპობილი აქვთ. ხელუხლებელია მხოლოდ კორპუსები. შეკეთებას მოუნდება მთელი თვეები, ერთ წლამდის გემები არ ივარგებენ საცურაოდ. დაზიანებულია: 1 ჯავშნიანი, 3 დიდი კრეისერი, 4 ნაღმოსანი კრეისერი, 12 ნაღმოსანი და რამდენიმე პატარა გემები.

## იტალია

(საქ. დეპ. სააგ.)

**მეზღვაურთა საერთაშორისო კონფერენცია**

გადაწყვეტილია 15 ივნისს მოიწვიონ მეზღვაურთა საერთაშორისო კონფერენცია ქ. გენუაში—მუშაობის დროსა და ქირის საკითხთა განსახილველად.

## ბულგარეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

**მოძრაობა ბულგარეთში**

**იურიევი იანვ. 26.** ბულგარეთში ისევ დაიწყო მოძრაობა, რომელიც ქალაქიდან სოფლებსაც მოედო. ფილიპოპოლში მთავრობის ჯარსა და აჯანყებულებს შორის შეტაკება მოხდა, რის შემდეგ ქუჩაში 120 გვამი დარჩა.

## სპარსეთი

**სპარსეთი და ერთა ლიგა**

კლემანსომ ტელეგრაფით აცნობა სპარსეთის პრემიერ მინისტრს, რომ სპარსეთი ჩარიცხულია ერთა ლიგაში და სთხოვა თვისი თანხმობის დამტკიცება. ამის საპასუხოდ პრემიერ-მინისტრმა ვსულედ-დოვლემ აცნობა კლემანსოს, რომ სპარსეთი ერთა ლიგაში შესვლის წინადადებას იღებს უყოყმანოდ.

## ლატვია

(ს. დ. ს.)

**ლატვიის ტერიტორიის დაცვა.**

გელსინგფორსის უშედეგო კონფერენციის შემდეგ პოლონეთის უმაღლეს სარდლობას მიზნად აქვს დაიცვას ლატვიის ტერიტორია ვისიმე მხრივ თავდასხმისაგან. კერძოთ მიღებულია ზომები, რათა დაიცვას ერთად ერთი რკინის გზა, რომელიც აერთებს ვარშავას და ვილნოს დვინსკთან და ლატვიასთან. გენერალი პილსუდსკი ლიბავის ფრონტზე წავიდა.

## ჩეხია

(საქ. დეპ სააგ.)

**ავსტრია—ჩეხიის ხელშეკრულობა**

პრაგიდან იუწყებიან: ეროვნულ კრებასე ბენეშმა განაცხადა, რომ ჩეხიასა და ავსტრიას შორის არავითარ ხელშეკრულებაზე არ არის ხელი მოწერილიო. მოლაპარაკება სწარმოებდა იმ მიზნით რომ გამოგვერკვევია საბჭოებისა და ვაჭრობის საკითხები.

## სერბია

**ადრიატიკის საკითხის მოწესრიგებისათვის.**

(საქ. დეპ. სააგ.)

სერბია-კროატია-სლოვენის სახელმწიფოს დელეგატებმა პაშიჩმა და ტრუმბიჩმა ოთხშაბათის საღამოს ინახულეს პალეოლოგი და შეატყობინეს მას, რომ მათ თავისი მთავრობისაგან მიიღეს პასუხი ადრიატიკის საკითხის მოწესრიგების შესახებ. დოკუმენტში ბევრი რამ არის გამოტოვებული ცუდი გადმოცემის გამო. ზოგი ადგილის გაშიფრება მეტად ძნელია. დელეგაცია თავს იკავებს და საზოგადოებას ჯერ ვერ გადასცემს მას, სანამ ტექსტი სავსებით არ იქნება აღდგენილი. ნოტის შინაარსის ზოგი ცნობა ბეჭდვით ორგანოებში გამოჩნდა. „პტი პარიზიენი" სწერს: მიუხედავათ იმისა, რომ პასუხი ტკბილ და მეგობრული ენით არის ნაწერი—იგი ვერ ეთანხმება იმ პროექტს, რომელიც შეადგინა კლემანსომ, ლლოიდ-ჯორჯმა და ნიტტიმო. პასუხი თხოულობს რამდენიმე მუხლის შეცვლას და შესწორებას, მაგრამ შიგ ისე ძლიერათ არის გამოთქმული შეთანხმების სურვილი, რომ ეჭვს გარეშეა, რომ მას განიხილავენ.

**მარკონის საიდუმლოება.**

სენატორმა მარკონიმ შემდეგი განცხადება მოათავსა „დეილი-მეილში", „ყველა ქვეყნების რადიო-ტელეგრაფისტებს—ამბობს ის—ხშირად ესმით გაუგებარი და მუდმივი სიგნალები. ეს უკვე რამდენიმე ხანია რაც გრძელდება. მარკონის კამპანიამ ომის მიერ შეჩერებული გამოკვლევანი ეხლა განაახლა. ეს სიგნალები ისმის ინგლისსა და ამერიკაში, სხვათა შორის სიგნალთა ზოგი კომბინაციები ხშირათ მეორდება. ის ფაქტი, რომ სიგნალები ისმის ლონდონსა და ნიუიორკში და ამასთან ერთნაირ ძალით ამტკიცებს, რომ სიგნალებს გარეული წყაროები აქვთ. მარკონი ჰფიქრობს რომ სიგნალები აჩენს ელექტრიულ გრიგალებს მზეზე ან კიდევ სხვაგან სადმე, მაგრამ ის აგრეთვე სთვლის შე აძიებლად, რომ პლანეტები ცდილობენ დედამიწასთან კავშირი იქონიონ.

საკითხი გარკვევას თხოულობს.

**ელჩთა კონფერენცია.**

ელჩთა კონფერენცია, რომელიც დაარსებულია უმაღლეს საბჭოს მიერ პირველად შეიკრიბება საფრანგეთის საგარეო სამინისტროში.

დიდ ბრიტანეთის მხრით წარმომადგენლად იქნება ლორდი დერბი: იტალიის—ზონინ ლონგარე: იაპონიის—ჟულემ კამბონომი ანუ ბ-ნი პალეოლოგი. შეერთებულ შტატებიდან სხდომებს დაესწრება უოლ—ლესი, პირველ სხდომაზე შემუშავებული იქნება კონფერენციის სამუშაო პროგრამა.

**ნობელის პრემია.**

შვედურ აკადემიას საფრანგეთის მეცნიერნი უსაყვედურებენ ნობელის პრემიის მიცემისათვის იმ გერმანელ ქიმიკოსისათვის, რომელმაც ქემიის საშუალებით გამოიგონა მხრჩოლავი გაზი, რომელსაც ხმარობდა ხოლმე გერმანიის არმია საომარ ასპარეზზე. ექიმი ხაბერი, რომელიც ფიშერთან ერთად იმყოფებოდა გერმანიის არმიის მთავარ შტაბში და განაგებდა ამ მხრჩოლავ გაზების მოქმედებას დაჯილდოვებულია იგივე ნობელის პრემიით.

ამის გამო საფრანგეთის ზოგიერთ მეცნიერებმა, რომელთაც ჰქონდათ მისაჯული პრემიები—უარი განაცხადეს. ექიმი ფრანსუა ხოლმი დიდ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს შვედების მოქმედებას და ბრალდებას სდებს მათ იმაში, რომ მხრჩოლავი გაზების გაქეთებაში შვედები დიდათ ეხმარებოდნენ გერმანულ არმიას.

# ახალი ამბები

**საქართველოს დელეგაციის მოლოცვა პარიზიდან.**

საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის საშუალებით 28 იანვარს ბათუმიდან: „თბილისი, საქართველოს მთავრობას. ბედნიერნი ვართ გაუწყოთ: ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ცნობილია კონფერენციის მიერ. გაუმარჯოს საქართველოს. საქართველოს დელეგაცია პარიზში".

**სპარსეთში მყოფ ქართველების მოლოცვა**

დამფუძნებელი კრებას ქ. ენზელიდან (სპარსეთი) შემდეგი მოსალოცი დეპეშები მოუვიდა: 1) „ქართველი საზოგადოება „გურჯისტანი" ენზელიდან დამფუძნებელი კრების სახით მოულოცავს ქართველ ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას და უსურვებს მის დემოკრატიას მომავალში განვითარებას და აყვავებას. „გურჯისტანის" გამგეობა: სილაგაძე, გოცირიძე, საყვარელიძე, ანთაძე, ბოგ გაძე. 2) „ქ. ენზელში მყოფი ქართველ მოხელეთა ერთი ჯგუფი დიდი აღფრთოვანებით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას და სალამს უძღვნის საქართველოს ბელადს ნოე ჟორდანიას და მის ამხანაგებს და უსურვებს მომავალშიაც ასეთ ნაბიჯების გადადგმას დემოკრატიის საკეთილდღეოთ. კრების თავმჯდომარე მუშა მახვილაძე".

**ტრამვაის ბილეთების ფასის გადიდება**

სამშაბათიდან აზრათ აქვთ ტრამვაის ბილეთების ფასის გადიდება.

**ერობათა კავშირში**

არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ ნ. ქიქინაძე, მის მოადგილეთ მ. ახალაძე. წევრებათ: მ. ცქვაშვილი, ის. სტურუა და გრ. სადირაშვილი.

**ხარჯ-აღრიცხვის განხილვა**

ოთხშაბათობით და შაბათობით თბ. ქალაქის გამგეობა თავის სხდომებს მოანდომებს 1919—20 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას.

**წ ვ ს დ ე ბ ა**

სატარიფო პალატის უახლოეს სხდომაზე განხილულ იქნება პალატის წესდება.

**თბ. ქიმიურ ქარხნის ადმინისტრაციას**

შრომის კომისარმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა: „27 იანვარს თქვენდამი რწმუნებულ ქარხნის დათვალიერების დროს მე აღმოვაჩინე, რომ მუშების წიგნაკებში აღნიშნული არ არის, თუ რა დროიდან დაუწყიათ მუშებს თქვენს წარმოებაში მუშაობა და აგრეთვე არ არის აღნიშნული კანონით შემოღებულ წესით ზედმეტი ნამუშევარი საათები. ამ ნიადაგზე რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წინადადებას გაძლევთ, ყველა ის შენიშვნები, რომელიც ადგილობრივ მოგეცით თქვენ, დაუყონებლივ შეასრულოთ.

**გადამდები სენი.**

16-დან 23 იანვრამდე თბილისში ავათ გამხდარა: პარტახტიანი სახადით 5, ყვავილით—1, წითელათი—2, ხუნაგით—1.

**ტრამვაიელთა შორის.**

ტრამვაის დირექტორს და მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის თბილისის გუბერნიის შრომის კომისარმა შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა: „თბილისის ქალაქის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის მოწერილობის საპასუხოთ, ტრამვაის დარაჯების 6, 7 და 8 საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ გაუწყებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონით, ღამის მუშაობის ხანგრძლივობა გამონაკლისს არ შეადგენს 8 საათის სამუშაო დღის კანონის საერთო ნორმიდან და ამიტომ საერთო საფუძველზე დარაჯებმა ღამღამობით 8 საათი უნდა იმუშაონ, თუ კი ამის შესახებ მხარეებიდან რაიმე ცალკე შეთანხმება არ არსებობს. ხოლო დარაჯების და ყარაულების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, როგორც ეს ორივე მხარის წარმომადგენელთა კრებაზე გამოირკვა ჩემი თანდასწრებით, დირაჯებს საჩქაროდ მისცენ თბილი მაზარები და ნაბდის ჩექმები".

**ბოსტნეულობის სკოლის მოწყობა თბილისში.**

განზრახულია მომავალ შემოდგომიდან „თბილისის საბაღოსნო სკოლის" ადგილას მოეწყოს ბოსტნეულობის პრაქტიკული სკოლა. მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს გადაეცა შესაფერი ხარჯთ აღრიცხვა.

## სამხატვრო ქრონიკა

**დავით კლდიაშვილის საიუბილეო** კომისიის პრეზიდიუმი სთხოვს კომისიის წევრებს დღეს, საღამოს 6 საათზე მწერალთა კლუბ „ქიმერიონში" დაესწრონ სხდომას; განსახილველია საჩქაროდ საკითხები.

**„ცისარტყელა"** გამოვიდა ყოველთვიურ ჟურნალ „ცისარტყელა"-ს მორიგი (№ 2) ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები: ს. აბაშელისა, ვ. რუხაძის, იასამნის, გ. ქუჩიშვილის და ხ. ვარდოშვილისა. მოთხრობა „გამხარული გული" შიო არაგვისპირელისა, მინიატიურა დ. თურდოსპირელის, ტრ. რამიშვილის დრამა „სტუმარ მასპინძლობა" და კრიტიკული წერილები: ა. პაპავას და ვ. რუხაძის. ჟურნალი საუკეთესო ქაღალდზეა დაბეჭდილი და ჰღირს 15 მანეთი.

## თეატრი

**დ ღ ე ს:**

**სახელმწიფო თეატრი** „სამეფო სიძლო".

**„ტარტოს"** დრამა. „ოკეანეს გადაღმა".

**ქართული კლუბი.** „საბრალო ფედია".

**სახალხო სახლი** „ყაჩაღები".

**კონსერვატორიის დარბაზში** ზეილიგების კონცერტი.

**„ქიმერიონი"**. მორიგი ინტიმიური საღამო.

## სახალხო განათლება

**დახმარება ავლაბრის ხამეცნიერო წრეს.**

ქალაქის სასკოლო კომისიამ მოისმინა ავლაბრის საკულტურო საგანმანათლებლო წრის თხოვნა დახმარების შესახებ და დაადგინა დაეხმაროს ამ წრეს ავლაბრის მცხოვრებლების სულიერ საზრდოს საჭიროებისათვის 5000 მანეთით და სთხოვოს ქალაქის საბჭოს ამ დადგენილების დამტკიცება.

**ჟურნალი „განათლება".**

საქართველოს სასწავლებელთა კავშირის ბიურომ დაადგინა თვის უკანასკნელ სხდომაზე გამოსცეს ყოველთვიური ჟურნალი „განათლება" და ეცნობოს მასწავლებელთ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ ჟურნალში. ჟურნალი წელიწადში გამოვა 10 ნომერი და ეღირება 300 მანეთი, რომლის გადახდა ორ ნაწილადაც შეიძლება.

**დახმარება ჭრა-კერვის სკოლას.**

ქალაქის სასკოლო კომისიამ განიხილა ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის თხოვნა მის მიერ დაარსებულ ჭრა-კერვის სკოლის დახმარების შესახებ და დაადგინა აღმოუჩინოს დახმარება 5000 მანეთი და ეთხოვოს ქალაქის საბჭოს ამ დადგენილების დამტკიცება.

**რწმუნებულების დანიშვნა.**

ამავე კომისიამ თვის რწმუნებულებად დანიშნა. 1) ანნა ხოლოდაშვილისა, ქალთა 1 გიმნაზიის სამეურნეო ნაწილში, 2) ალ. ჟორჟოლიანი ვაჟთა მე 4-ე გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოში და 3) ტიტე ტაბიძე ქალთა მეორე გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოში.

**ორგანიზაციათა ცნობები.**

საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიურომ დაადგინა მოეთხოვოს მასწავლებელთა ყველა ორგანიზაციებს წარმოუდგინონ დაუყონებლივ ბიუროს თვის ორგანიზაციათა სრული შემადგენლობა.

**საღამო სკოლაში.**

ორშაბათს 26 იანვარს წყნეთის საქალაქო სკოლის გამგის ქ-ნ. სოფიო სიდამონიძე ერისთავის ინიციატორობით გაიმართა ამავე სკოლაში ფრიად საგულისხმიერო საღამო, რომელიც როგორც პროგრამით ისე აღსრულებით იშვიათ საღამოდ უნდა ჩაითვალოს სახალხო სკოლის ცხოვრებაში. სანთლებით და სათამაშოებით მორთულ მოჭრილ შობის ხის წინაშე პატარა ბავშვები ერთი მეორეზე უკეთეს სიმღერებს ასრულებდნენ და ლექსებს კითხულობდნენ. მეტად მოხდენილი საზოგადოება მოწაფე ზერიძემ „საქართველოს ზეიმი"-ს ლექსით და ცოცხალმა სურათმა „ზამთარმა". დიდი პატივისცემის ღირსია ქ-ნი გამგე ამ სკოლისა ასეთ კერძო ინიციატივის აღმოჩენაში.

## ქართველ მწერლებს

თანახმად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებისა, თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში გამოცემული იქნება სალიტ. კრებული დიდი ფორმატისა. მწერალთა საბჭოს მრავალ დაბრკოლებათა გამო აქამდე საშუალება არ ქონდა მოეხერხებია ხსენებულის გამოცემა. ამ ჟამად ტექნიკურ სიძნელეთა გადალახვის შემდეგ მწერალთა კავშირის საბჭომ საბოლოოდ გამოარკვია კრებულის გამოცემის შესაძლებლობა და მოუწოდებს ყველა მწერლებს, რაც შეიძლება დაჩქარებით გამოგზავნონ მასალები, ვინაიდან 10 თებერ. შემდეგ მასალების მიღება შეწყვეტილი იქნება. დასაბეჭდი მასალები (მოთხრობები, ლექსები, დრამატიული ნაწარმოები, კრიტიკა) შეიძლება გამოგზავნილ იქნას შემდეგი მისამართით: თბილისი, ქართველ მწერალთა კლუბი „ქიმერიონი" (რუსთაველის პროსპექტი).

სარედაქციო კოლეგია.

## ბრძანება

**რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო საქმეთა უწყების მიმართ.**

**№ 5.**

**27 იანვარი 1920 წ. ქ. თბილისი.**

შენიშნულია, რომ მრავალი პირნი, რომელნიც არ იმყოფებიან რესპუბ. ლიკის ჯარის ნაწილში სამხედრო სამსახურში, მიუხედავათ არა ერთხელ გაფრთხილებისა და განკარგულებისა, ატარებენ გამსხვავებულ ნიშნებს, რომელნიც დაწესებულნი არიან რესპუბლიკის არმიაში, აგრეთვე სხვა და სხვა გვარ სამხედრო ფორმას.

ხელახლად ვადასტურებ, რომ სასტიკად აკრძალულია რესპუბლიკის საზღვრებში იმ პირების მიერ, რომელნიც არ იმყოფებიან რესპ. არმიის სამსახურში სათანადო თანამდებობაზე, რაიმე გვარი სამხედრო ფორმისა, ხოლო არმიაში სახსახურ პირთ მიუწერ სინამდვილით დაიცვან ტანისამოსის დაწესებული ფორმა თან იქონიონ პიროვნების მოწმობა სათანადო უფროსისაგან მიცემული.

ამ ბრძანების შესრულება სასტიკ პასუხის მგებლობით ევალება გარნიზონების უფროსებს და კომენდანტებს, რომელთაც ევალებათ მიიღონ მათგან დამოკიდებული ყოველგვარი ზომები ამ საკითხის მოსაწესრიგებლად.

ეს ბრძანება არ ვრცელდება რესპ. საზღვრებში მყოფ უცხო სახელმწიფოთა მისსიების წარმომადგენლებზე.

სამხედრო მინ. გრ. ლორთქიფანიძე.

# სასოფლო მეურნეობა

**კახეთის მევენახეობის და მეღვინეობის მდგომარეობა**

(მოხსენება წაკითხული მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესზე).

რომ საქართველო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა სადაო საგანს არ შეადგენს. მისი სასოფლო მეურნეობა უმთავრესად ემყარება მაღალ კულტურულ სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთ: ღვინო, თამბაქო, ჩაი, ხილი, აბრეშუმი და სხ. შემოსავლიანი დარგები. ყველა ამ დარგთა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს ჩვენში მევენახეობა-მეღვინეობას, რომელსაც საქართველოს სოფლის მცხოვრებთა 30 პროც. მაინც მისდევს (95 ათასამდე მეკომური).

მაგრამ საქართველოს ყოველ კუთხეში ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს მევენახეობას: იგი ზოგგან თუ მეორე ხარისხოვან ასე დამხმარე საშუალებას წარმოადგენს—ზოგან კი ის უმთავრესი და ხშირად ერთად ერთი შემოსავალის წყაროა. განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოში მევენახეობას აქვს მთელი კახეთისთვის და უმთავრესად კი ალაზნის პირჯვენა ნაპირზედ ერთ ხაზზედ დამწკრივებულ სოფლებისთვის ახმეტიდან მოყოლებული ვიდრე ხირსამდე და რაც უფრო თელავის მაზრიდან უახლოვდებით სიღნაღის მაზრას—მევენახეობა იღებს უფრო ინტენსიურ ხასიათს.

ჩვენდა სამწუხაროდ უტყუარი ცნობები ვენახების და მევენახეთა რაოდენობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოება და მთელი ჩვენი დასკვნები უნდა დავამყაროთ იმ ზედმიწევნით ცნობებს, რომელთაც აქვეყნებდნენ სხვა და სხვა სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებები. ამ ცნობათა მიხედვით საქართველოში აქ ჟამად ანგარიშობენ ვიდრე 65000 დესეტინა ვენახს, საიდანაც თბილისის საგუბერნიო მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტის მიერ 1913 წ. გამოქვეყნებულ ცნობათა მიხედვით, 32.485 დესეტინა ვენახი ე. ი. თითქმის ნახევარი თბილისის გუბერნიაში ანუ აღმოსავლეთ საქართველოში ითვლება. იმავ კომიტეტის ცნობით 1913 წლისთვის კახეთში უნდა იყოს (თელავის სიღნაღის და თიანეთის მაზრებში) 20.243 დესეტინა ვენახი. ვფიქრობთ, რომ ეს ცნობები სინამდვილეზედ ახლოს ვერ უნდა იყვნენ (როგორც ნაშდვილათ ვიცით სოფ. ველისციხის, გურჯაანის და კარდანახის რაიონებში ეს ცნობები 20 პროც. ნაკლებია ნამდვილზედ). ყოველ შემთხვევაში მთელი ეს ვენახები განაწილებულია შემდეგ ნაირად: წინა ახარი ე. ი. ალაზნის ველს უჭირავს 19.508 დესეტინა, ხოლო უკანამხრის 7 სოფელს 735 დეს. უკანამხრის მევენახეობაც არ არის მცხოვრებთა შემოსავლის ერთად ერთი წყარო და როდესაც ვლაპარაკობთ კახეთის მევენახეობაზედ სახეში გვაქვს განსაკუთრებით ალაზნის ველი ანუ წინამხარი. თუ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ჯერ საბოლოო სიტყვა არ თქმულა მეურნეობის რომელ დარგს უნდა დაადგეს იგი კუთხე თავის გეოლოგიური და კლიმატიურ პირობების მიხედვით,—სამაგიეროდ კახეთის წინამხარის შესახებ მტკიცედ უნდა ითქვას, რომ ეს კუთხე მარტო მევენახეობისთვის არის გამოსადეგი—მეტადრე ალაზნის მარჯვენა ანუ გაღმა მხარი. ალაზნის გაღმა ანუ მარცხენა ნაპირის ბუნება შესამჩნევად განირჩევა გაღმა მხარისაგან. მისი მდიდარი ნიადაგი, გადაშლილი მინდვრები, სარწყავ წყლის სიუხვე და მოსახლეობის შედარებით სითხელე შესაძლებლად ხდის შერეულ მეურნეობის წარმოებას (მევენახეობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

რად არ ჩამოუვარდება საფრანგეთის საუკეთესოდ დამუშავებულ ვენახებს თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ ვენახების მუშაობა ჩვენში უფრო წამბაძველია, რადგან საკუთარი, ცოდნა და გამოცდილება ცოტა თუ ვისმეს აქვს. მეტადრე ომის დაწყების წინ ერთმანეთის წამბაძულობით და ერთგვარი მეტოქეობით ერთი-მეორეზედ უკეთესად ამუშავებდა კახელი მევენახე ვენახს. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითებს გვაჩვენებენ სოფ. კარდანახი, გურჯაანი. აქ საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ ორი მევენახე—ვენახის არშიყი თუ შეიძლება ასე ითქვას—ს. გურჯაანელნი მეურნენი ლევანა მუზარაშვილი და გიორგი ნაცვალაშვილი, რომელთა ვენახები ყოველ წელიწადს წარმოადგენენ ნიმუშს მუყაითობისას, დაკვირვებისას და საუკეთესოდ არიან დამუშავებულნი მუდამ და მათი მეცადინეობა ღირსია აღნიშნისა. ვენახების, ევროპიული წესით დამუშავების შესწავლაში, ვაზის წამლობაში და ამ დარგში ზოგიერთ ელემენტალურ ცოდნათა გავრცელებაში დიდი როლი ითამაშა კახეთში ყოფილ საუდელო, ახლა სახელმწიფო მამულებმა. ბევრი რამ საჭირო და სასარგებლო წესი მუშაობისა გადიღეს აქედან დიდი დამსახურება მიუძღვით ამ მამულებს კახეთის მევენახეობის წინაშე. ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ სახელმწიფო მამულის მმართველებს და ცდილობდნენ, რომ კახეთის მევენახეობის წინსვლას მუდამ წინ მიუძღოდნენ და არა კუდში მისდევდნენ. მაგრამ სამწუხაროდ სახელმწიფო მამული თუ აქამდის იმას გვასწავლიდა, თუ ვენახი როგორ უნდა გაკეთდეს, დღეს იმას გვასწავლის თუ იგი როგორ უნდა გაფუჭდეს.

დამუშავების მხრივ, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, რაც უფრო თელავის მაზრიდან სიღნალისაკენ მოიწევთ, ვენახები უფრო ინტენსიურათ დამუშავებული მეტადრე განსხვავება თვალსაჩინოთ ხვდება შარა გზით მოგზაურობის დროს. ს. ურიათუბნიდგან რომ შემოხვალთ მუკუზნის ვენახებში აქ ხშირად ჰხვდებით მართულ გაშვებულ ვენახებს, საუკეთესოდ დამუშავებულებს და რამდენი უახლოვდებით გურჯაანით კარდანახს იმდენი რწმუნდებით, რომ ამ სოფლებში, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ყველა თავის დროზედ სხლავს ვენახს, სწამლის, თოხნის და სხვა. მოსავალიც სიღნალის მაზრაში თითო დესეტინაზედ შესამჩნევად მეტი მოდის ვიდრე თელავისაში.

აღსანიშნავია, რომ რაც ომი დაიწყო გარდა იმისა რომ ახალი ვენახების გაშენება მთლად შეჩერდა—ძველი ვენახებიც ბევრი სრულიად განადგურდა, ამოვარდა. უმთავრესი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მთელი მშრომელი მარჯვენის მობილიზაციის დროს ვენახებში მომუშავე აღარავინ დარჩა. სწორედ ამავე ხანაში კახელი ქალი, რომელიც აქნობამდე იშვიათ შემთხვევაში თუ გავიდოდა ვენახში სამუშაოთ, იძულებული ხშირათ შაბიამნის სასხურებელ აპარატ აკიდებული სწამლიდა ვენახს. ხშირად ამ ხანებში ნახავდით მთვარიან ღამეს, რომ კახელი გლეხი ვენახს სარავდა.

არის კიდევ ერთი გარემოებაც, რომელმაც უსათუოდ დიდი მნიშვნელობა იქონია კახეთის მევენახეობის ზრდის შეჩერებაში. ეს გახლავთ გამწვავებული პურის საკითხი. როდესაც ჩრდილო კავკასიის პურს გურჯაანელი მევენახე ფუთს 1 მანეთად და კიდევ ნაკლებადაც ყიდულობდა, ხოლო ღვინოს კი პურთან შედარებით შესამჩნევად მეტ-ფასში იმავე ჩრდილო-კავკასიელს აყიდებდა — ჩვენი მხვნელ-მთესველი რუსეთიდან შემოსულ იაფ-პურს მეტოქობას ვერ უწევდა და იძულებული იყო მიეტოვებინა ვენახისთვის, ხოლო ხვნა-თესვაზე ხელი აეღო. სამაგიეროდ როდესაც ერთის მხრით გარეშე ბაზრიდან პურის შემოტანა სრულიად შესწყდა და მეორეს მხრით ღვინის გარეშე ბაზარიც დაიკეტა, მევენახე ჩავარდა უმწეო მდგომარეობაში და მთლად მხვნელ-მთესველის ნება-სურვილის განკარგულებაში. დაირღვა პურისა და ღვინის ღირებულების სწორ წონასწორობა და ღვინის მოყვანა ნაკლებ სასარგებლო შეიქმნა. ამის დასამტკიცებლად საკმარისია ვსთქვათ, რომ ომამდე 1 ფუთი ღვინო იცვლებოდა ვიდრე 3 ფუთ პურზედ, ხოლო 1918 წელში 1 ფუთ ხორბალში აძლევდნენ 1-ნახევარ ფუთ ღვინოს (საპალნეზედ 6—8 კოდი პური). ამის მეოხებით თითქმის ყველა მევენახე შეეცადა პურის მოყვანასაც და ამ მხრივ გასაოცარი ცვლილება მოხდა კახეთის მეურნეობაში, რასაც ნათლად გვაჩვენებს შემდეგი ციფრები: 1916 წელს კახეთის რკინის გზით შესულა კახეთში 1.071.300 ფუთი ხორბლეული. 1918 წელს კახეთის რკინის გზას კახეთიდგან გამოუტანია ნახევარ მილიონამდე ფუთი ხორბლეული. რა თქმა უნდა ამ გარემოებამ შესამჩნევად შეამცირა ვენახების რაოდენობა. ჩვენ აქ მხედველობაში არ ვიღებთ აგრარული რეფორმის მეოხებით ჩამორთმეულ ვენახებს, რომელნიც კამეჩებმა სახნავებათ აქციეს. (ქობულიშვილის კისისხევში, ანდრონიკაშვილების გურჯაანში, ირაკლი ჭავჭავაძის სანერგე მუკუზანში და მრავალი სხვა). მათი რიცხვიც ორ ასეულ დესეტინაზედ ნაკლები არ უნდა იყვეს.

ვენახების რაოდენობის შემცირება გამოიწვია აგრეთვე როგორც საწამლებელ იარაღ მანქანათა და მასალათა უშოვრობამ ისე ჭიგვის სიძვირემ და უშოვრობამ. დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ უსაშინელესი მტერი ვენახებისა—ფილოქსერა შემოესია კახეთის ვენახებს და ზოგიერთი რაიონებში ბევრი ვენახები მოსპო (მაგალ. ველისციხეში) ყოველივე ზემოხსენებული ჩვენის რწმენით იმის მაჩვენებელია, რომ კახეთის მევენახეობა კრიზისს განიცდის და დიდი საფრთხე მოელის თუ მას მიზან შეწონილი მტკიცე და გაბედული დამხმარე მფარველობა არ აღმოუჩინეთ, მით უფრო საშიშია ჩვენი მდგომარეობა, რომ ჩვენი მევენახეობა მეტად წვრილ მამულიანი მევენახეობაა და ამიტომ ყოველივე პატარა მევენახე ყველა ჩამოთვლილ დაბრკოლებათა წინაშე ადვილად შესაძლებელია შეშინდეს და მიანებოს თავი ისეთ ძვირფას და ლამაზ დარგს, როგორიც არის მევენახეობა. მიზანშეწონილად მიმაჩნია აქ მოვიყვანო ცნობები, რომელნიც ნათლად გვაჩვენებენ, თუ რა წვრილ მევენახეობასთან გვაქვს ჩვენ კახეთში საქმე. რაიონი აღებულია თელავის და სიღნალის მაზრის შუაგული, სახელდობრ ველისციხის ჯგუფი (მუკუზანი, ახალშენი, ველისციხე, ჩუმლაყი). თუ მაგალითად გურჯაან-კარდანახში თითო მევენახეს მეტი მამული აქვს, ვიდრე ჩვენ მიერ მოყვანილ ცნობაში სჩანს, სამაგიეროდ თელავის მაზრაში უფრო წვრილი მევენახენი არიან (უმრავლესობა მყავს სახეში), ველისციხის შემნ. გამსესხ. ამხ. მიწის მზომელს დაუზომინა თავის წევრთა ვენახები და აღმოჩნდა, რომ 1691 წევრიდან ისეთ წევრთა რიცხვი, რომელთაც აქვთ 1—600 კვ. საჟ. (1/4 დესეტინა) უდრის 278, (16, 44%) 600—1200 (1/2 დესტ.), უდრის 553 (32,7%), 1200—1800 (3/4 დესეტ.), 353 (20,87%), 1800—1 დეს.—189 (11,17%), 1—2 დეს. 235 (13,8%), 2—3—53 (3,13%), 3—5—16 (1%), 5-დან ზევით—14 (0,82 პროც.), ანუ ერთ დესეტინაზედ ნაკლები 81 პროც., ხოლო მეტი 19 პროც. იმავე ცნობებით წვრილი ვენახები მეტ წილად დაუმუშავებელია, მოსავალიც შედარებით მსხვილ ვენახების პატრონთ უფრო მეტი მოსდით (3/4—2 დესეტინამდე). ვენახების სივრცის შემცირების გარდა ეს ხუთი წელიწადია ხელის დაკლების, უწამლობის, სეტყვის და საზოგადოთ ატმოსფერულ გავლენის მიზეზით მცირე მოსავალი მოდის. წარსულ 1918 წელს სამ მილიონ ვედრამდე ღვინო გამოიტანა კახეთმა ბაზარზედ. დაახლოვებით 350—400 მილიონად ღირებული. წელს კი მხოლოდ ამის მესამედის გამოტანა თუ იქმნება შესაძლებელი, რაც ეხლანდელი შეფასებით დაიჭერდა 312 მილიონ მანეთს. სამაგიეროდ რომ გავითვალისწინოთ მხოლოდ ზოგიერთი თვალსაჩინო ხარჯები, რომელიც გადასახდელი აქვს მევენახეს მაგ. 100000 ფუთი შაბიამანი და გოგირდი რაც 50 მილიონს დაიჭერს, ჭიგო (თუ 25 ათას დესეტინა ვენახიდგან 5 მართულზედ არის და 20 ათასიდან კი ნახევარს ანუ 10 ათას სჭირია დესეტინაზედ 6000 ღერი) 60 მილიონი ღერი უკანასკნელ 90 მილიონად ღირებული, დავინახავთ თუ რა მდგომარეობაშია დღეს კახეთის მევენახეობა. მარტო აქ ნახსენები არის ხარჯი მთელი შემოსავლის თითქმის 40% ნთქავს. ამას ზედ დაურთეთ ის გარემოება, რომ მევენახეთა უმრავლესობას პური სასყიდელი აქვს და ყოველივე ხარჯების გასასტუმრებლათაც ერთად ერთი ვენახის მოსავლის იმედი აქვს. ხშირად გვესმის სრულიად უსაბუთო მსჯელობა სოფელი ფულით არის სავსე და თითქო სოფლელი მცხოვრები ბედნიერება-ფუფუნებაში იყოს. იქნება ეს რაოდენამდე მართალი იყვეს მხვნელ-მთესველთა შესახებ, ხოლო რაც შეეხება განსაკუთრებით მევენახეობის მიმდევართ—ზემო მოყვანილი მსჯელობა სრულიად უსამართლო და შეუსაბამია: მევენახეთა 80 პროც. უსახსრო, ნახევრად მშიერი, ჩაუცმელი და მოუწყობელია, რადგან მიუხედავად ღვინის დიდი ფასისა—მას პური და ყოველივე სანოვაგე სასყიდელი აქვს, რაც ღვინოსთან შედარებით კიდევ ერთი ორად და ერთი სამადაა გაძვირებული, ამას გარდა, როგორც ზევით დავინახეთ—მცირე ვენახების პატრონთა (რომელთაც ერთ დესეტინაზედ ნაკლები აქვთ) რიცხვი უდრის 81 პროც., და თუ მევენახეთა შორის მდიდრდება ვინმე ეს მხოლოდ იმ 19 პროცენტიდან, რომელთაც მოსავალი მეტი მოჰყავს, რადგან ვენახი შედარებით დიდი აქვს და ყოველივე საჭიროების დაკმაყოფილების გარდა კიდევ რჩება მოგება. საზოგადოდ კი ჩვენი მევენახეობა უკანასკნელ 4—5 წელიწადში თუ უკან არა, წინ სრულიად ვერ მიიწევს. აღსანიშნავია, რომ მევენახეობის ხელსაწყო იარაღ-მანქანებით მეღვინეობის მეურნეობისთვის საჭირო იარაღით და ყოველივე საწამლებელ მასალებით ჩვენ ვიკვებებოდით საზღვარ გარეთიდან, რომელიც უკვე მეექვსე წელიწადია ჩვენთვის სრულიად დახშულია. ვენახის სახნავი გუთნები, შაბიამნის სასხურებლები, საბერვლები და ყოველივე სხვა იარაღი მთლად მოძველდა. ახლა აღარსაიდან შემოდის. ასეთსავე მდგომარეობაშია ყურძნის საწურავ-საქაჩავის და ღვინის გადასაღებ მანქანათა მდგომარეობა. არამც თუ უცხო ბაზრის დაკეტვა შეიქმნა ჩვენთვის საგრძნობი—თვით რუსეთის ქარხნებში, რომ მზადდებოდა ვაზის დასაბმელი მავთული—აღარ შემოდის,—მისი ფასი 600 მან. აღწევს ფუთი (3 მან. ღირდა) და არც იშოვება. მისი საჭიროება კი ისე საგრძნობი როგორც დღესაა არასდროს არ ყოფილა. კახეთის ვენახების საერთო სივრციდან 10—15 პროც. თუ იქნება მავთულზედ გაბმული, ხოლო დანარჩენი 20 ათასამდე დესეტინა ჭიგვის ანაბარას არის. აჩანაგებს ყოველწლიურად 50—60 მილიონ ხეს და საშოვრობაც აღარსად არის.

დიდი დამაბრკოლებელი მიზეზია კახეთის მევენახეობის შესწავლისთვის რაიმე სწორი სტატისტიკური ცნობების უქონლობა. ამაზედ მეტად კიდევ სამწუხაროა, რომ ისეთ დარგში, რომელიც 300—400 მილ. მანეთს აძლევს მცხოვრებლებს წელიწადში საკმაო კადრი სპეციალისტებისაც კი არ მოიძებნება. სკოლაზედ ლაპარაკი ხომ სულ მეტია.

ასე მძიმე მდგომარეობას განიცდის დღეს კახეთის მევენახეობა და საჭიროა ფართე ღონისძიებათა მიღება სახელმწიფო მასშტაბით რომ უმთავრესმა დარგმა ჩვენი სასოფლო მეურნეობისამ—მევენახეობამ დააღწიოს თავი იმ კრიზისს, რომელსაც იგი განიცდის და დაადგეს სალ წარმატების და გამარჯვების გზას.

მოხსენების შინაარსი შეიძლებოდა ჩამოგვეყალიბებინა შემდეგ დებულებად:

1. საქართველო სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა ქვეყანაა და მის მრავალ მაღალ-კულტურულ სამეურნეო დარგთა შორის—მევენახეობა უძლიერესი ეკონომიური ფაქტორია.

2. საქართველო მრავალ ფეროვან ბუნების ყოველივე მხარე მევენახეობისთვის გამოსადეგია მხოლოდ მათ შორის კახეთი თვისი საუკეთესო ღირსების ღვინის მეოხებით წარმოადგენს გვირგვინს საქართველოს მევენახეობისას.

3. კახეთის მშრომელთა ერთად-ერთი საარსებო წყარო არის მევენახეობა-მეღვინეობა და იგი ჰკვებავს კახეთში 35 ათას მეკომურს ანუ 200,000-ამდე სულს.

4. სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ მევენახეობა როგორც მაღალ კულტურის სამეურნეო დარგი ჩვენში წარმოადგენდეს საუკეთესო ნიმუშს ქართველთ შრომის მოყვარეობისას, უცხო კულტურულ ღონისძიებათა შეთვისებისას და მევენახეთა ეკონომიურ-კულტურულ კეთილდღეობის წყაროს,

5. კახეთის მევენახეობა ერთის მხრით ვაზის მტერ-ბუნების მოვლენათა და მწერთა შეოხებით, და მეორეს მხრივ შექმნილ საერთაშორისო ქაოსის წყალობით, დღეს განიცდის მძიმე კრიზისს, რამაც გამოიწვია ჩვენი მევენახეობის იზოლიაცია.

6. მევენახეობა-მეღვინეობის პრიმიტიულ კულტურის დატოვებას და მის ძაგიერ გაუმჯობესებულ წესებით და საშუალებებით მევენახეობის განვითარება აღორძინებას ხელს უშლის ჩვენში ამ დარგის მცოდნე პირთა სიმცირე საერთოდ და კერძოდ სამეურნეო დარგში გაუნათლებლობა და სახელმწიფოს მიერ საქმისადმი გულგრილობა.

თუ ზემოხსენებულ დებულებებს ჩვენ მივიღებთ, იძულებულნი ვიქნებით ვაღიაროთ, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა:

1. შეიქმნას მიწადმოქმედების სამინისტროსთან სპეციალურ სახელმწიფო დაწესებულებათა ფუნქციებით აღჭურვილი ორგანო რუსეთის მევენახეობა-მეღვინეობის მთავარი კომიტეტის მაგვარად უფრო ფართე უფლებით, რომელსაც დაკისრებული ექნება მევენახეობა მეღვინეობაზედ ზრუნვა-მფარველობა.

2. მიექცეს მეტი ყურადღება სპეციალურ ცოდნათა გავრცელებას ხალხში დაბალ და საშუალო სპეციალურ სკოლების დაარსებით, ხალხში ზეპირსიტყვიერი ბაასით, სამაგალითო და სანიმუშო სადგურთა მოწყობით თუ მმოძრავი ლექციებით.

3. დაარსდეს სპეციალური სტატისტიკური განყოფილება მეღვინეობა-მევენახეობის მთავარ დაწესებულებაში ამ დარგის ზედმიწევნით გამოკვლევა-შესასწავლად ჩვენში.

4. აღმოუჩინოს სახელმწიფომ მევენახეთ ფართო დახმარება ვენახების აღდგენის, სეტყვასთან და სხვა მოვლენებთან ბრძოლის, იარაღ-მანქანათა შეძენის და ნაწარმოების გასაღების უზრუნველყოფის მხრივ.

გ. წინამძღვრიშვილი.

# საქართველოს კონსტიტუციის პროექტი

(დასასრული).

**საარჩევნო წესი**

არჩევნები უნდა იყოს საყოველთაო, პროპორციული, თანასწორი, პირდაპირი და ფარული (კანონ-პროექტი მეორე თავი 1 მუხლი).

ეს—არ არის სავსებით დემოკრატიული საარჩევნო წესი.

როგორც ვიცით, ჩვენში დღეს პარტიულმა დიქტატურამ მოქალაქეს სრულიად წაართვა საარჩევნო თავისუფლება.

ყოველ პარტიას თავისი წარმომადგენლები უნდა ჰყავდესო, გვეუბნებიან.

კი, მაგრამ ავიწყდებათ, რომ სახელმწიფოებრივ ინტერესს მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე პარტიულსა და მაშასადამე მოქალაქეს ნება უნდა ჰქონდეს აირჩიოს, ვინც სურს, სულ ერთია, მისი პარტიის კაცია თუ არა ასარჩევი კანდიდატი.

თუ ეროვნული დემოკრატი ვარ, განა იძულებული უნდა ვიყო, ეროვნულ-დემოკრატიულ სიას მივსცე ხმა იმის და მიუხედავად, რომ ზოგიერთი სოციალ.დემოკრატი მირჩევნია სიაში შეტანილს ბევრ ეროვნულ დემოკრატს?!

იმავე დროს პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიბძანებს, პირველ კანდიდატად ის კი არ აღვიარო, ვინც მე მიმაჩნია პირველად, არამედ ის, ვინც სიაში პირველად დასახელებულია.

მაშასადამე ამ წესით პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიქტატურაა განსახიერებული.

იმავე დროს სხვა და სხვა პარტიის საარჩევნო ბიულეტენები ცალ-ცალკე იბეჭდებიან, ბიულეტენების დარიგება პარტიებს ევალებათ, გაბატონებული პარტია უმთავრესად საკუთარი ბიულეტენების დარიგებისათვის ზრუნავს, პარტიების ბიულეტენების ფერი და ფორმა ყოველთვის ერთი არ არის, მოქალაქეს ხათრით გაბატონებული პარტიის ბიულეტენი მიაქვს ყუთთანა, წარმოობს სხვისი ბიულეტენების შეტყუება და სხ.

რასაკვირველია, ამ პირობებში საარჩევნო წესისა და კანონის დაცვა შეუძლებელია.

მაშ საჭიროა, მოქალაქის სინდისი განთავისუფლებულ იქნეს პარტიული ძალადობისაგან.

როდის იქნება ეს შესაძლებელი?

აი როდის. ბიულეტენში ყველა პარტიის სიები უნდა იქნენ მოქცეული. და ამრჩეველს ნება უნდა ჰქონდეს, აირჩიოს ის კანდიდატები, რომელთა არჩევაც სურს, სულ ერთია, რომელ სიასა და რიგშიაც არ უნდა იქნენ აღნიშნული.

ამგვარად თვითეული კანდიდატის საარჩევნო რიგი—თვით ამრჩევლებზედ იქნება დამოკიდებული და არა პარტიულ კომიტეტებზე.

ამგვარი პროპორციული საარჩევნო წესია შვეციაში.

მხოლოდ ამ პირობით იქნება დაცული მოქალაქის საარჩევნო თავისუფლება და დაჰკარგავს არჩევნები ვიწრო პარტიულ ხასიათს.

მაშასადამე მხოლოდ ამ პირობით იქნება პარლამენტი—უკეთესთა წარმომადგენლობა.

**მოქალაქობრივი უფლება.**

პროექტით მოქალაქობრივი უფლება თითქო სავსებით უზრუნველყოფილია

მოქალაქის დასჯა არ უნდა შეიძლებოდეს, თუ არა სასამართლოს და საფუძვლიანებულ ბძანების ძალით.

იმავე დროს უზრუნველყოფილია სიტყვის, ბეჭდვის, კრების, მიმოსვლის, სარწმუნოებრივი რწმენის თავისუფლება და ბინის ხელშეუხებლობა.

მაგრამ ეს ფონი ერთგან აზრჩობს.

ხსენებული საჯარო უფლებანი მხოლოდ ნორმალურს, მშვიდობიანობის დროს არიან პატივცემული.

პარლამენტს კი შეუძლია გააუქმოს საკონსტიტუციო გარანტია და გამოაცხადოს, როცა მოისურვებს, სამხედრო თუ საგანგებო წესები მთელს რესპუბლიკაში ან რომელსამე მის ნაწილში.

და არ არის აღნიშნული იმ დროის მაქსიმუმი, რომლის იქითაც სამხედრო ან საგანგებო წესების მოხსნა სავალდებულო უნდა იქნეს.

იმავე დროს, სახელმწიფოს ხელისუფალი, რომელმაც თავისი საგანგებო უფლება ბოროტად მოიხმარა და უდანაშაულო მოქალაქე დასაჯა, საგანგებო წესების მოხსნის შემდეგ თავისი მოქმედებისათვის სასამართლოს წინაშე პასუხს არ აგებს.

ამგვარად გაბატონებულ პარტიას შეუძლია პარლამენტი თავისი დიქტატურის განსახორციელებლად მოიხმაროს და სამოქალაქო უფლებანი არა-რად იქციოს.

ეს დიდი კონსტიტუციური დეფექტია.

**სოციალური უფლება.**

პროექტით, სახელმწიფო მოვალეა უზრუნველჰყოს მოხუცთა და სნეულთათვის საჭირო ქონებრივი მინიმუმი, აღზარდოს თავისი ხარჯით მდაბალ სასწავლებლებში ღარიბი მოწაფენი, უნივერსიტეტში მათ შორის კი საშუალსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ვფიქრობ, რომ ეს მუხლი კონსტიტუციაში არ უნდა იქნეს შეტანილი.

რასაკვირველია, როცა სახელმწიფოს ფინანსები ისე გამოკეთდება, რომ ამ მოვალეობის ასრულება ძნელი არ იქნება, ხსენებული დებულების წინააღმდეგი არავინ არ იქნება.

მაგრამ ღარიბ სნეულთა, მოხუცთა და მოწაფეთა შენახვა ჯერ ევროპის მდიდარ სახელმწიფოებსაც ვერ გაუბედნიათ.

მართალია, ინგლისში და ავსტრალიაში ეძლევათ მოხუცებს პენსია, რომელიც ხაზინას მძიმე ტვირთად აწევს, მაგრამ კანონი ამის შესახებ კონსტიტუციური კანონი კი არ არის.

და, უეჭველია, ამ ხანად მაინც ღარიბთათვის ზრუნვა უნდა განაწილებულ იქმნეს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ქველმოქმედებას შორის.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროექტის მიხედვით რვა საათის სამუშაო დღე მეურნეობის ყველა დარგში უნდა იქნეს დაკანონებული და მცირე წლოვანთ 16 წლამდის უნდა აეკრძალოთ ფიზიკური მუშაობა.

ჯერ ერთი, მიწის მოქმედებაში მუშაობის შეფარგვლა 8 საათით—შეუძლებელია. ამგვარი წესი მიწის მოქმედებას ძირს გამოუთხრიდა.

მეორე, ხელოსანს არ უნდა აეკრძალოს საკუთარი ხელით მუშაობა ნორმაზე მეტ ხანს, ვინაიდან ამგვარი აღკრძალვა თავისუფლების შებორკვა იქნებოდა.

მესამე, როდესაც მცირეწლოვანი სკოლაში არ არის, მისთვის ფიზიკური მუშაობა არა თუ მავნებელი არ არის, არამედ სასარგებლოა.

**კონსტიტუციის პროექტი და ხინამდვილე.**

განხილული პროექტი ზოგიერთის აუცილებელი შესწორებით—მისაღებია.

მაგრამ დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება, სინამდვილე, სრულიად არ შეესაბამება პროექტის მიერ აღსარებულ პრინციპებს.

და ვაი თუ ამ პროექტსაც საფრანგეთის დიდი რევოლიუციის კონვენტის მიერ 1793 წელს შემუშავებული საკონსტიტუციო პროექტის ბედი ხვდეს!

პროექტი შეამუშავეს, შემდეგ შეასწორეს, დააკანონეს, მაგრამ ცხოვრებაში არ გატარდა.

მიზეზი ის იყო, რომ კონსტიტუციას უნდა მოესპო კონვენტისა და მისი კომიტეტების, რევოლიუციონური ტრიბუნალებისა, მუნიციპალიტეტებისა და იაკობინური კომიტეტების დიქტატურა, რომელსაც იაკობინელები ვერ შეელიენ.

ბოლოს ხომ იაკობინელების ბატონობასთან ერთად ხსენებულმა პროექტმაც სული განუტევა.

დიახ, ჩვენში გაბატონებული პარტიის გულწრფელობა ლიბერალური კონსტიტუციის დამყარების საქმეში—საეჭვოა, ვინაიდან შემდეგ მას ხელიდან გამოეცლებოდა შემაშინებელი იარაღი, რომლის საშუალებითაც არჩევნებში იმარჯვებს.

დიახ! ვაი თუ გვიან მოხდეს კონსტიტუციის პროექტის დაკანონება, იმ დროს როდესაც, შეიძლება, მნიშვნელობაც კი აღარ ექნება.

ეჭვი კი აი რაზეა დამყარებული.

გაბატონებულ პარტიას თუ მოქალაქობრივი თავისუფლება სწამს რატომ შებორკა თავისუფლება?! რატომ გაამეფა პარტიული დიქტატურა?! რატომ არ უზრუნველჰყო პიროვნების ხელშეუხებლობა, კრებისა სიტყვისა ბეჭდვისა და არჩევნების თავისუფლება?!

ცხადია, დაპირებასა და სინამდვილეს შორის დიდი განსხვავებაა.

თუ კი ვცდებით, მით უკეთესი.

ოღონდ ოდესმე სამოქალაქო თავისუფლება განხორციელდებოდეს და წარსულ უკანონობასაც კი აღარ გავიხსენებთ.

ვასილ წერეთელი

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია,“
გამომცემელი: თბ. ვაჭ. მრ. კომიტეტი.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებ-მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

იყიდება სამოსახლო ადგილი
ხაზურთალოზე—მისამართი:
პირველი თუმანოვის ქუჩა № 8.
ილიკო საკანდელიძეს.

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა, გაბაშვილის შესახვევი №4.